ვკვირდებით ბოლოს, „ვიმხილეთ" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№61 (956) 11 – 12 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წლის 15 ივნისი

ბარამიძის ევრობაირამობა-2



მხოლოდ ფაქტები

გვ.3-6-7

უცხოეთის რესტორნების, სპა-სალონების, კაზინოების, სასტუმროების „სამივლინებო" ხარჯები

დავით ცინდელიანის ოჯახი ახალაიებს სისხლის აღებით ემუქრება

გაუჩინარებული მეფყევე-რეინჯერის საქმე გახსნილია — რომან შამათავას ბრალი უფრო დაუმძიმდა

გვ.5

პატიმრის დღიური

როგორ აწამეს ციგანა ჟურნალისტებისგან გაკეთებულ გიტარაზე დაკვრის გამო

გვ.7

ვის რა შანსი აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე

ᲔᲛᲔᲠᲐᲒ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ
599-45-50-26

წინასაარჩევნო პროცესი ფინიშის ხაზს უახლოვდება. 15 ივნისი აჩვენებს, რამდენად მოახერხებს კოალიცია „ქართული ოცნება“ მოსახლეობის ნდობის მანდატის ღირსეულად ტარებას. თავის მხრივ, ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში მთავარი პოლიტიკური ოპონენტის სტატუსის შენარჩუნებისთვის იბრძვის. პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ გარკვეული შანსი აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციას, ლეიბორისტებს... საბოლოო არჩევანი მოსახლეობაზეა, რომელიც, როგორც წესი, ადგილობრივ კენჭისყრაზე დიდი აქტივობით არასოდეს გამოირჩეოდა. ამჯერად თუ შეიცვლება ამ მხრივ რამე და რა შედეგებს უნდა ველოდეთ 15 ივნისს? „ვერსია“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

— ზოგადად, ადგილობრივ არჩევნებზე, ამომრჩეველს სიჭარბე არ სჩვევია. ვეთანხმები ექსპერტებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ შესაძლებლობების პესიმისტური ანალიზი ნაადრევია — მას ჯერ კიდევ აქვს რეიტინგი, ამომრჩეველი მოიზიდოს და თავის მხარეზე დააყენოს. რესურსი აქვს, მაგრამ შეძლებს ამას? — როგორც წესი, ოპოზიცია უფრო აქტიურია ხოლმე საზოგადოების მობილიზებაში, ვიდრე ხელისუფლება.

— აკეთებს თუ არა ამომრჩევლის მობილიზებისთვის „ქართული ოცნება“ მაქსიმუმს?

— ელექტორატის მობილიზაციის ხარისხი არჩევნებზე გამოჩნდება.

— წამყვან ოპოზიციურ ძალებს რა შანსი აქვთ?

— არასაპარლამენტო ოპოზიციას მთლიანობაში საკმაოდ დიდი შანსი აქვს, მათ შორის ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ გაერთიანებასაც. ნაციონალები ალბათ ენერგიულად იბრძოლებენ, მათ იციან პოლიტიკური ბრძოლის ეს ნიუანსები, მაგრამ საზოგადოების დამოკიდებულება იმდენად კრიტიკულია მათ მიმართ, მეეჭვება, ბრძოლამ სასურველი შედეგი მოუტანოს – მეორე ადგილი, ძირითადი პოლიტიკური ოპონენტის სტატუსი. იმის მიუხედავად, რომ არსებული რეიტინგები, ჯერჯერობით, ამ მოსაზრების საფუძველს არ იძლევა, მაინც მგონია, მოსახლეობა უფრო მეტად კრიტიკული იქნება ნაციონალური მოძრაობის მიმართ. კუკავა-მემარჯვენეები და ლეიბორისტები საინტერესო პოლიტიკური ძალებია და მხოლოდ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ისინი შედეგიანები იქნებიან. იმედს იმიტომ ვახსენებ, რომ იგივე რეიტინგებში და ბოლო პერიოდის რომელიმე არჩევნებში მათ რაიმე მნიშვნელოვანი განაცხადი არ გაუკეთებიათ, არც საარჩევნო პოტენციალის თვალსაზრისით ტოვებენ შთაბეჭდილებას, რომ მოცემული მომენტისთვის კარგ ფორმაში არიან. თუმცა ეს მსჯელობა შეიძლება არამართებული იყოს. არჩევნებს სიურპრიზები უყვარს.

საქართველოს პრეზიდენტი განცხადებას ავრცელებს

გიორგი მარგველაშვილი ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის გამო ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას მადლობას უხდის: **„მივესალმებით, რომ მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს საკუთარი პოზიცია და დაგმეს ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში ჩატარებული ე.წ. საპარლამენტო არჩევნები. ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოქალაქეებს მრავალი წელია წართმეული აქვთ საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ლეგიტიმური უფლება, რეგიონში დარჩენილი მოქალაქეების უფლებები კი საოკუპაციო რეჟიმის მიერ ყოველდღიურად ირღვევა.**

საერთაშორისო დამკვირვებლებს, მათ შორის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს, ოკუპირებულ რეგიონებში შესვლისა და ადამიანის უფლებათა მძიმე ვითარების ასახვის შესაძლებლობა არ ეძლევათ“.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

„თუ მთა იქნება ძლიერი, ქვეყანაც ძლიერი იქნება“

მთავრობის მეთაური რეგიონებში ტურნეს განაგრძობს. ირაკლი ღარიბაშვილი, ამჯერად, ხევსურეთს ესტუმრა და ჩირდილის ჭალაში, კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან ერთად „საუკუნის გზის“ პროექტის პრეზენტაციას დაესწრო.

მოგვიანებით, პრემიერმა ბარისახოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი მოილოცა. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საგანგებო ლოცვა აღავლინა და ტაძარს წმინდა დავით აღმაშენებლის ხატი გადასცა. „საუკუნის პროექტთან“ დაკავშირებით კი, უწმინდესმა ბრძანა, რომ ყოველმა ბიზნესმენმა უნდა აიღოს თავის თავზე რომელიმე რაიონი და მას მატერიალურად დაეხმაროს. სასაზღვრო რაიონებში კი მონასტრები უნდა აშენდეს, რათა გავაძლიეროთ და დავიცვათ საზღვრები. საპატიო სტუმრებს მამა იოსებ გაჩავამ უმასპინძლა. მან პრემიერს პირაქეთა ხევსურეთში მოქმედი პირველი მართლმადიდებლური ეკლესია დაათვალიერებინა. **„სასიხარულოა აქ ყოფნა. ამ ლამაზი კუთხის აღორძინება უნდა მოხდეს. წლების განმავლობაში იცლებოდა ხევსურეთი. პატრიარქის კურთხევით, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ხევსურეთი გაძლიერდეს. დარწმუნებული ვარ, სამანქანო გზის პირველად გაჭრა, მთაში დაბრუნების სიმბოლოდ იქცევა“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისი განმარტებით, ურთულეს რელიეფზე 25-კილომეტრიანი გზის გაჭრა მომავალი წლიდან დაიწყება, **„ამ გზის გაყვანა აქამდე ვერ მოხერხდა. ეს გზა პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთის სოფლებს – არხოტსა და როშკას დააკავშირებს, სიცოცხლეს დაუბრუნებს ხევსურულ სოფლებს და მთლიანად ხევსურეთს“.** პრემიერმა ადგილობრივებს ისიც შეახსენა, რომ ზაფხულში მუცოს რეაბილიტაცია დაიწყება. მისი დავალებით, ძეგლის რეაბილიტაციისთვის შესაბამისი თანხა უკვე გამოყოფილია. ასევე, პარლამენტი წლის ბოლომდე მიიღებს მთის კანონს. ღარიბაშვილის განმარტებით: **„შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რათა მივიღოთ მთის კანონი. ჩვენი მთავრობის პოლიტიკური ნებაა, მხარი დაუჭიროს ყველა პროექტს, რომელიც მოემსახურება დიდ საქვეყნო საქმეს — მოსახლეობის შენარჩუნებას მაღალმთიან სოფლებში. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეს ერთად, თქვენი ჩართულობით აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე, ვინაიდან მთა ჩვენი სიძლიერე, ჩვენი სიამაყეა, მთა ყველაზე კარგად ინახავს ქართულ სულს, გენს, ჩვენს ადათ-წესებს და ჩვენი ვალია, მას მოვუაროთ, მოვუფრთხილდეთ, არ დავკარგოთ უნიკალური ტრადიციები და შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა. თუ მთა იქნება ძლიერი, მჯერა, ჩვენი სამშობლოც იქნება ძლიერი“.**

ირაკლი ღარიბაშვილი ხელოვნების ტრადიციულ ფესტივალს „ქართული სული“ დაესწრო, რომელშიც სხვადასხვა ფოლკლორული ჯგუფები და პოეტები მონაწილეობდნენ. გაიმართა ადგილობრივ მკვიდრთა ფოტონამუშევრების გამოფენა. საპატიო სტუმრების სახით, ფესტივალს, უწმინდესისა და პრემიერის გარდა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი და სხვა ოფიციალური პირებიც დაესწრნენ. ფესტივალის დამფუძნებელმა ზურაბ ჩხაიძემ ირაკლი ღარიბაშვილს „საუკუნის გზის“ მშენებლობის მოთავეობისა და საქართველოს მთიანეთისადმი განსაკუთრებული ყურადღებისთვის „ქართული სულის“ სიმბოლური გამოსახულება გადასცა.

„ვერსიანიუსი“

იძულებით გადაადგილებულ 110 ოჯახს შემოდგომით ახალი საცხოვრებელი სახლი ექნება

მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლის რეაბილიტაციის ფარგლებში, მუნიციპალური განვითარების ფონდი იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ქუთაისში 110-ბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციას ახორციელებს. ოცხელის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით სრულდება. პროექტის საერთო ღირებულება 4,356,899.00 ლარია.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით, კიდევ სამი შენობის რეაბილიტაცია ხორციელდება კასპსა და ბორჯომში. ახალი საცხოვრებელი სახლი ჯამში იძულებით გადაადგილებულ 240 ოჯახს მიეცემა.

სამშენებლო სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, თორნიკე თორაძემ დაათვალიერა და მშენებლობაზე დასაქმებულ ადამიანებს გაესაუბრა. პროექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები 2014 წლის თებერვალში დაიწყო და 6 თვეში დასრულდება. 110 ბინიდან 46 ერთოთახიანია, 52 — ოროთახიანი, 12 ბინა კი სამოთახიანი. აქედან 6 ბინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისაა ადაპტირებული. რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ მთლიანად საცხოვრებელი კორპუსი და გარე ინფრასტრუქტურა შშმ პირებისთვის სრულად ადაპტირებული იქნება.

პროექტის განხორციელებისას მშენებლობაზე 120-150 ადამიანი იქნება დასაქმებული, აქედან 25% იძულებით გადაადგილებული პირია. ყველა საცხოვრებელ ბინას ექნება ინდივიდუალური სააბაზანო და საპირფარეშო. სამზარეულოში დამონტაჟდება წყლის გამათბობელი, ასევე დაიდგმება კარმის ტიპის გამათბობელი. ეზოში მოეწყობა სათამაშო ატრაქციონი და ავტოსადგომი. დამონტაჟდება გარეგანათების ქსელი, დეკორატიული სანათები, სანაგვე ურნები.

„პირველი“

საქართველოს მოქალაქემ ბელორუსში თვითმფრინავის გატაცება სცადა

ქუთაისი-მინსკის რეისის თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაურმა ერთ-ერთი მგზავრისგან ჩანაწერი მიიღო, რომელშიც ავიალაინერის აფეთქების შესახებ საუბარი იყო. ავტორი კურსის შეცვლასა და თვითმფრინავის ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში გაფრენას მოითხოვდა. თვითმფრინავის ბორტზე 32 მგზავრი, მათ შორის ერთი ბავშვი და ეკიპაჟის 4 წევრი იმყოფებოდა. ბელორუსის უშიშროების სამსახურის ინფორმაციით: **„პილოტების პროფესიონალიზმის წყალობით, ბორტმა მინსკის აეროპორტში დაშვება მოახერხა. უშიშროების სამსახურის და „ა“ ჯგუფის წარმომადგენლები ბორტზე ავიდნენ და მოლაპარაკება დაიწყეს ჩანაწერის გადამცემ პირთან, საქართველოს 1973 წელს დაბადებულ მოქალაქესთან. მოლაპარაკებების შედეგად ეჭვმიტანილმა ბორტი დატოვა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს ჩაბარდა“.** მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

„პირველი“

გიორგი ბარამიძის საბიუჯეტო შეცდომები ანუ რა განსხვავებაა ფაქტებსა და კომპრომატებს შორის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

4 ივნისს, „ვერსიაში“ გამოქვეყნებულ სტატიას „ბარამიძის ევრობაირამობა“, რომელშიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემოწმების შედეგად გამოვლენილი ფაქტების ნაწილი ავსახეთ, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერისა და სტატიის მთავარი ადრესატის, გიორგი ბარამიძის გაუგებარი რეაქცია მოჰყვა. „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართული ბრიფინგი ბარამიძემ პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის უკანასკნელ პრესკონფერენციას მიუძღვნა. 15-წუთიანი შესავლის შემდეგ, რომელსაც ლაიტმოტივად, „ვერ აგისრულეთ, რასაც დაგპირდით, ისევ მოვედი თქვენთან“ — გასდევდა, გიორგი ბარამიძემ გაკვრით და ისე, სასხვათაშორისოდ აღნიშნა: „ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ისეთ მაკომპრომეტირებელ მასალებს გამოაქვეყნებს, როგორიც ჩემზე გამოქვეყნდა „ქრონიკაში“, თითქოს საბიუჯეტო თანხებს არასწორად ვხარჯავდი“...

„უვერტიურა“ სულ სხვა ოპერიდან!

„არაფერი შეგეშალოს, ბიჭო!“ — ისევ თქვენ დაგესესხებით, ბატონო გიორგი, რადგან კომპრომატები კი არა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2011-2012 წლების ანგარიშის აუდიტორული დასკვნა გამოვაქვეყნეთ, თანაც „ქრონიკაში“ კი არა გაზეთ „ვერსიაში“! დიახ, ოდესღაც ვმუშაობდი „ქრონიკაში“, მაგრამ სულ რამდენიმე თვით, დაახლოებით 2005 წლის ნოემბერ-დეკემბერში... ბოლო ოთხწელინადნახევარია, „ვერსიის“ ჟურნალისტი ვარ და წესით, თქვენ ეს არ უნდა შეგშლოდათ! რაც მთავარია, სტატიის თავში, ავტორის გვარისა და სახელის ქვეშ, ტელეფონის ნომერიცაა მითითებული. დაგერეკათ, ბატონო გიორგი და აგიხსნიდით, რა განსხვავებაა „ვერსიასა“ და „ქრონიკას“ ან ფაქტებსა და კომპრომატებს შორის!

„არაფერი შეგეშალოთ“ იმიტომ, რომ იმ ფაქტების გამო, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და მისი მმართველობის სფეროში არსებული სსიპ-ის „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“ ფინანსური აუდიტის დროს გამოავლინა, გამორიცხული არ არის, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თქვენს წინაალმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრას. დამიჯერეთ, ეს სულ სხვა, თქვენთვის არც ისე სასიამოვნოდ მოსასმენი ოპერიდანაა! „ვერსიის“ ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებსა და აუდიტორულ დასკვნას, რომელსაც თანდართული მასალების შვიდტომეული ერთვის, უახლოეს დღეებში, მთავარ პროკურატურას გადაუგზავნის.

რაც შეეხება „კომპრომატებს“, ამ შემთხვევაშიც „არაფერი შეგეშალოთ“, ბატონო გიორგი! იმიტომ, რომ თქვენთან ერთად, ბარებსა და კლუბებში არ მივლია და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ნაყიდი 9 ცალი წითელი ვარდი, ჩემთვის აშკარად არ გიჩუქებიათ. შესაბამისად, მე ნამდვილად არ ვარ ის ადამიანი, ვინც თქვენზე (ან ნებისმიერ, სხვა პოლიტიკოსზე) კომპრომატებს ფლობს ან უნდა ფლობდეს! კომპრომატი ის იყო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ლისაბონის ღამის კლუბში, ისევ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, თქვენი და თქვენი მეგობრების დროსტარების ამსახველი ფოტომასალა თქვენთან ერთად მყოფმა პირმა სხვადასხვა სოციალურ ქსელში რომ აგიტვირთათ! სხვათა შორის, ქართული დელეგაცია ლისაბონში გამართულ ნატო-ს სამიტზე იმყოფებოდა, ბრიტანული გამოცემა „მორნინგ სტარის“ ინფორმაციით, მსუბუქი ყოფაქცევის 80 ქალს ხელშეკრულება გაუფორმეს, დაიქირავეს და სასტუმროში მეუღლეების სტატუსით შეიყვანეს...

და კიდევ ერთი, რაც ირიბად „ვერსიასა“ და ხელისუფლებას შორის კავშირს ეხება — ეტყობა, დაგავიწყდათ და ამიტომ იძულებული ვარ, შეგახსენოთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, რომელმაც სკანდალური დასკვნის აქტი ექსკლუზიურად, „ვერსიის“ ოფიციალური წერილის საფუძველზე გადმოსცა, ნაციონალური მოძრაობის წევრი და თქვენი კოლეგა, ლაშა თორდია ხელმძღვანელობს! სხვათა შორის, „ვერსიამ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისგან თქვენი ყოფილი უწყების შემოწმების მასალები სრულად გამოითხოვა, მაგრამ ლაშა თორდიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ 3 ივნისს, მხოლოდ ანგარიშის დასკვნა გადმოეცათ, რაც შოკისმომგვრელად სკანდალური აღმოჩნდა. ამ ანგარიშის თანდართული მასალების შვიდტომეული კი მხოლოდ 9 ივნისს, განმეორებითი წერილის საფუძველზე, ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით გადმოგვცეს. მოკლედ, დიდხანს ცდილობდა თქვენი კოლეგა, იმ სკანდალური ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა გაზეთში არ გამოქვეყნებულიყო, მაგრამ „ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით!“

„პრაიმტაიმის“ პრესკლუბში თქვენი აბსურდული განცხადების შემდეგ, ისევ ვუბრუნდები ამ თემას და ერთმანეთის მიყოლებით, თქვენივე ბრძანებით, თქვენს მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებს გამოგიქვეყნებთ, რომლებითაც პრემიები და ხელფასები გამოიწერეთ! იმ დოკუმენტსაც გამოგიქვეყნებთ, რომლითაც თქვენი აპარატის დაფინანსებას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ითხოვდით! ბოლოს, სახელმწიფო შესყიდვებში დაშვებულ ხარვეზებს, სასტუმრო „გუდაური სქაი რესორტში“ ერთ ღამეში გადახდილ ასტრონომიულ თანხას, ბრიუსელის სპა-მასაჟის სალონებში, სხვადასხვა სასტუმროებსა თუ კაზინოებში გახარჯულ საბიუჯეტო თანხებსა და „ისტერნ პრომოუშენისგან“ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით, ჯაზფესტივალისთვის ნაყიდ ბილეთებსაც აგიფრიალებთ დესერტად, უკვდავი ჯაზკომპოზიცია — TAKE FIVE-ის სოუსითა და ელ ჯეროს არომატით!



Klantticket
INTERDIT
BLANCHESTRAAT 14
1050 ELSENE
02-4813046
Terminal: CT246003
Merchant: 100700001534
Periode: 1329
Transactie: 00003283
Visa Debit (A0000000031010)
Kaart: ■■■■■■■■■■■■3913
Kaartnr: 01
Geldig tot: 31/10/12
BARAMIDZE GIORGI
VERKOOP
Datum: 25/11/2011 04:48
Auth. code: 370424
PaySquare: We pay attention.
Totaal: 100,00 EUR
U HEEFT BETAALD TOT ZIENS

Klantticket
INTERDIT
BLANCHESTRAAT 14
1050 ELSENE
02-4813046
Terminal: CT246003
Merchant: 100700001534
Periode: 1329
Transactie: 00003278
Visa Debit (A0000000031010)
Kaart: ■■■■■■■■■■■■3913
Kaartnr: 01
Geldig tot: 31/10/12
BARAMIDZE GIORGI
VERKOOP
Datum: 25/11/2011 02:56
Auth. code: 544091
PaySquare: We pay attention.
Totaal: 150,00 EUR
U HEEFT BETAALD TOT ZIENS

Klantticket
INTERDIT
BLANCHESTRAAT 14
1050 ELSENE
02-4813046
Terminal: CT246003
Merchant: 100700001534
Periode: 2131
Transactie: 00004183
Visa Debit (A0000000031010)
Kaart: ■■■■■■■■■■■■3913
Kaartnr: 01
Geldig tot: 31/10/12
BARAMIDZE GIORGI
VERKOOP
Datum: 10/05/2012 03:28
Auth. code: 742951
PaySquare: We pay attention.
Totaal: 300,00 EUR
U HEEFT BETAALD TOT ZIENS

Klantticket
INTERDIT
BLANCHESTRAAT 14
1050 ELSENE
02-4813046
Terminal: CT246003
Merchant: 100700001534
Periode: 2131
Transactie: 00004180
Visa Debit (A0000000031010)
Kaart: ■■■■■■■■■■■■3913
Kaartnr: 01
Geldig tot: 31/10/12
BARAMIDZE GIORGI
VERKOOP
Datum: 18/05/2012 02:39
Auth. code: 880134
PaySquare: We pay attention.
Totaal: 600,00 EUR
U HEEFT BETAALD TOT ZIENS

PARCO DEI PRINCIPI
GRAND HOTEL & SPA • ROMA
FATTURA - RICEVUTA FISCALE
XAL № 107379 /2012
Cliente Giorgi Baramidze
Intestatario Giorgi Baramidze
Georgia
Pagina 1 di 1
Corrispettivo relativo al soggiorno a carico di "CENTER FOR STRATEGIC DECISION RESERCH"

Data	Camera	Descrizione	Pagamenti	Importo
15/07/12	227	Pacchetto Hotel & Spa		153,00
15/07/12		Appartamento		231,00
15/07/12		Bar Piscina Cantina		18,00
15/07/12		Bar Piscina Cucina		28,00
15/07/12		Servizi Multimediali		15,00
15/07/12		Servizi Multimediali		15,00
15/07/12		Servizi Multimediali		15,00
15/07/12		Servizi Multimediali		25,00
16/07/12	227	Minibar		46,00
17/07/12	227	Minibar		27,00
17/07/12		Servizi Multimediali		25,00
18/07/12	227	Minibar		10,00
18/07/12		Appartamento Supplemento		115,50
18/07/12		Servizi Multimediali		25,00
18/07/12		Amexo Off	-748,50	

1520,27

Aliquota IVA/Cod.Esenzione	Imponibile	I.V.A.	Totale Documento
			748,50

Corr. Pagato 748,50 | Corr. NON Pagato 0,00

Via G. Frescobaldi, 5 - 00198 Roma (Villa Borghese) • T +39 06 854421 • F +39 06 8845104
Reservations +39 06 8551758 - reservations@parcodeiprincipi.com • parcodeiprincipi.com
Ubicazione esercizio e luogo conservazione dei documenti fiscali: 00198 Roma - Via G. Frescobaldi, 5
I.C.E.M. S.p.A. Via dei Mille, 61 - 80121 Napoli • C.C.I.A.A. Napoli n. 240694 - C.F. P.IVA 00272650631
Per ogni controversia sarà competente il Foro di Roma

დარღვევები ელექტრონულ ტენდერებში, ბიუჯეტის თანხით შეძენილი ბილეთები ჯაზფესტივალზე და „გუდაური სქაი რესორტში“ ერთ ღამე-ღამეში გადახდილი 4 500 დარი!

მხოლოდ ფაქტები და არაფერი, ფაქტების გარდა!

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით, ევროკავშირის ქვეყნებში სპა-მასაჟებსა და ღამის კლუბებში გართობას არ იკლებდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვებშიც გამოუსწორებელ შეცდომებს უშვებდა. ტენდერების მიმდინარეობისას, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებსა და შესაბამის დოკუმენტაციას აპარატი ელექტრონულ სისტემაში არ ტვირთავდა. სახელმწიფო აუდიტორები ასკვნიან, რომ ელექტრონული სისტემის საშუალებით, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ შედგენილ დოკუმენტებსაც ვერ მიაკვლიეს.

მსუბუქი ავტომანქანების დაქირავების მიზნით, აპარატის მიერ, 2010 წლის 29 დეკემბერს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში (SPA 100000500 — სამგზავრო „სედანის“ ტიპის მანქანა მძღოლთან ერთად და SPA 100000501 — სამგზავრო „უნივერსალის“ ტიპის მანქანა მძღოლთან ერთად, მინიმალური წარმომადგენლობითი მოთხოვნებით), მონაწილეობა მიიღო თითო პრეტენდენტმა, რომლებთანაც 2011 წლის 10 იანვარს გაფორმდა 2011/21 და 2011/22 ხელშეკრულებები, სავარაუდო ღირებულების შესაბამის თანხებზე. იმავე წლის 12 დეკემბერს, ხელშეკრულებებში ცვლილებები განხორციელდა და თითოეულ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ღირებულება 15%-ით, კერძოდ, 19 000 ლარიდან 21 800 ლარამდე გაიზარდა.

ხელშეკრულებების თანახმად, მომსახურება უნდა განხორციელებულიყო კანონმდებლობით განსაზღვრულ სამუშაო დღეებში. საჭიროების შემთხვევაში, არასამუშაო დღეებშიც, ხოლო დღეში 100 კილომეტრის გავლის შემდეგ, შემსყიდველი მიმწოდებელს, დამატებითი საწვავითაც უზრუნველყოფდა. იმავე წლის 1 თებერვლისა და 1 აპრილის ცვლილებების შედეგად, ხელშეკრულებებს დაემატა ორი პუნქტი, რომლებიც თბილისის ფარგლებსგარეთ, ერთ სამუშაო დღეზე მეტი ხნით მომსახურების შემთხვევაში, დამატებით 100 ლარის და საწვავის საბაზრო ღირებულების 10%-ით ან მეტი ცვლილებისას, საწვავის წილის მატების ან კლების ანაზღაურების ხარჯებსაც ითვალისწინებდა. სახელმწიფო აუდიტორები დასკვნაში ამ ფაქტზე წერენ, რომ აღნიშნული ცვლილებები მხოლოდ სატენდერო დოკუმენტაციაში უნდა გაეთვალისწინებინათ, რაც სხვა პრეტენდენტებს იმის საშუალებას მისცემდა, ამ ტენდერებში მონაწილეობა მიეღოთ. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად კი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უფრო ხელსაყრელი შედეგი დადგებოდა, როგორც ხელშეკრულების ღირებულების, ასევე გასაწევი მომსახურების ხარისხის მხრივ.

სახელმწიფო აუდიტორებმა შემოწმების შედეგად დაასკვნეს, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატში შესაბამისი კონტროლის მექანიზმები დანერგილი არ არის, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა, მიმწოდებლის მხრიდან დამატებითი მომსახურების გაწევისა და საწვავის ფასის ცვლილების შემთხვევაში, მისი პერიოდულობისა და მოცულობის დადგენა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორები ვერაფერს ამბობენ ტენდერის შედეგად, მიღებულ მომსახურებაში გადახდილი ფასის შესაბამისობის შესახებ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

„ბევრი რამ ვიცი, გუნდის წევრი ვიყავი...“

ეროსუდან შელია
557-100-768

საპარლამენტო არჩევნებამდე პოლიტიკური სიმპათია არ დაუმალავს — „ქართულ ოცნებას“ ღიად უჭერდა მხარს. მოგვიანებით, გიორგი მარგველაშვილის პრესსამსახურსაც ხელმძღვანელობდა, თუმცა ბიძინა ივანიშვილის საჯარო კრიტიკის შემდეგ პრეზიდენტის სასახლე დატოვა და ტელევიზიას დაუბრუნდა. დღეს „შალვა რამიშვილის შოუს“ წამყვანია და სოციალურ ქსელში საზოგადოების კრიტიკასაც მოთმინებით იტანს. „ვერსიის“ კითხვებს შალვა რამიშვილი პასუხობს.

რატომ წამოვიდა სახელმწიფო სამსახურიდან და დაუპირისპირდა თუ არა ბიძინა ივანიშვილს შალვა რამიშვილი

— იმ ადამიანების კრიტიკის მოსმენა, რომელთა აზრს პატივს ვცემ, ჩემთვის ყოველთვის საინტერესოა. მესმის, ბევრს ჰქონდა მოლოდინი, კვლავ პოლიტიკური შინაარსის გადაცემას წავიყვანდი, რადგან ბოლო ოთხი წელია, ჩემდაუნებურად, ამას ვაკეთებ. თუმცა საზოგადოებას შევახსენებ — საქართველოს კვალობაზე, შოუბიზნესშიც არაერთი საქმე მაქვს გაკეთებული. ყოველთვის მინდოდა, გასართობ -იმორისტული ჟანრის გადაცემის წამყვანი ვყოფილიყავი, მაგრამ ქვეყანაში ისეთი პოლიტიკური ვითარება იყო, იძულებული გავხდი, პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში მეცადა ბედი. როცა მისია შესრულდა და მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებას ჩამოშორდა, გადავწყვიტე, შოუბიზნესში დავბრუნებულიყავი.

— დავაზუსტოთ — საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, გიორგი მარგველაშვილის პრესსამსახურს ხელმძღვანელობდი და შოუბიზნესში დაბრუნება მხოლოდ მას შემდეგ მოგინდა, რაც ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტი საჯაროდ გააკრიტიკა.

— გეთანხმები, ცუდი დამთხვევა იყო, თუმცა ჩემნაირი ადამიანისთვის სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნა რთულია. ბიძინა ივანიშვილის განცხადება ჩემთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი არ ყოფილა.

— ბიძინა ივანიშვილმა გიორგი მარგველაშვილი უსამართლოდ გააკრიტიკა?

— ამ თემაზე არ ვისაუბრებ! ბიძინასა და გიორგის ურთიერთობაზე საუბარი რომ დავიწყო, შიდასამზარეულოც გარეთ უნდა გამოვიტანო და ამის სურვილი არ მაქვს.

— ყოველთვის ამტკიცებდი, რომ სხვებისგან პირდაპირობით გამოირჩეოდი, ახლა რა შეიცვალა?

— ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ლაპარაკს არ დავიწყებ, რადგან გუნდის წევრი ვიყავი. შესაბამისად, ჩემგან ამ ადამიანებზე საუბარი გამართლებული არ იქნება. შესაძლოა, მართლაც არიან ადამიანები, რომლებიც ჩემ სიტყვებს არ დაიჯერებენ, მაგრამ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წამოსვლა ბიძინა ივანიშვილის განცხადებამდე დიდი ხნით ადრე გადავწყვიტე. რაც შეეხება პრეზიდენტის სასახლეს, რადგან გიორგი მარგველაშვილთან ერთად საპრეზიდენტო რეზიდენციაში მეც გადავედი, ნიშნავს, რომ მის გადაწყვეტილებას ვეთანხმებოდი და მომხრეც ვიყავი. ვიმეორებ, ახლა იქ ვარ, სადაც ადრე ვიყავი.

— ამტკიცებ, სახელმწიფო სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ პოლიტიკას ჩამოშორდი, მაგრამ „შალვა რამიშვილის შოუში“ პოლიტიკა დიდი დოზით იგრძნობა. ხშირად ხუმრობ პრემიერსა და ბიძინა ივანიშვილზეც. პოზიციის დასაფიქსირებლად ახალი ტრიბუნა იპოვე?

— იუმორისტულ გადაცემაში ის სტერეოტიპები უნდა გამოიყენო, რომელიც ქვეყანაში დამკვიდრდა. რეალურად, არსებობს სტერეოტიპი, რომ ქვეყნის მმართველი და პოლიტიკური მდგომარეობის შემცვლელი ბიძინა ივანიშვილია. მართლაც, მის გარეშე, თანამდებობაზე ვერცერთი პოლიტიკოსი ვერ მოხვდებოდა.

ბიძინა ივანიშვილი პირველი ოქტომბრის არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო. შესაბამისად, ის დიდი რობოტია, რომელმაც შემცვლელად პატარა რობოტი დატოვა. ეს ყველამ იცის, მათ შორის, ხელისუფლებამაც.

— და ფიქრობ, ქვეყანას დღესაც „დიდი რობოტი“ მართავს?

— ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, მაგრამ მდგომარეობისა და მატერიალური თუ ინტელექტუალური რესურსის გამო, დღესაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. სამწუხაროდ, დღესაც არაჯანსაღი პოლიტიკური პროცესია, რადგან მიხეილ სააკაშვილმა თავისი მმართველობის მანძილზე პოლიტიკური ველის დეგრადაცია მოახერხა, ამიტომ პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ, საზოგადოების დიდი ნაწილი და პოლიტიკური ძალების უმრავლესობაც ერთი ლოზუნგის ქვეშ გაერთიანდა — არა მიხეილ სააკაშვილს! ასეთ ვითარებაში შექმნილი გაერთიანება კი ყოველთვის ჭრელი და ეკლექტურია. „ქართული ოცნებაც“ ამ სიჭრელეს განიცდის, რადგან კოალიციაში ნაკლებად ეფექტური და არაკომპეტენტური ადამიანებიც აღმოჩნდნენ, ანუ პოლიტიკოსები, რომლებიც იქ არ უნდა ყოფილიყვნენ.

— დაასახელეთ კოალიციაში მყოფი არაკომპეტენტური პოლიტიკოსები.

— ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე პოლიტიკოსის განსაკუთრებული არაკომპეტენტურობა მაოცებს ან იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ რაღაცები შესაცვლელია, მაგალითად პიარის კუთხით.

— პიარში წელინადზე მეტხანს შენ არ იყავი?

— კი, ეს საყვედური მეც მეკუთვნის. აღმოჩნდა, რომ ეს საქმიანობა მეც ვერ გავითავისე, ამიტომაც წამოვედი. ვნახოთ, არჩევნებზე ეს ვითარება უნდა შეიცვალოს.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა მთავარი ოპოზიციური პარტიის სტატუსის შენარჩუნებას ვერ შეძლებს?

— ზოგადად, ნაციონალური მოძრაობა გაცილებით მეტ ხმაურს ქმნის, ვიდრე რეალურად შეუძლია, ამიტომ არჩევნების შემდეგ მარგინალიზაციის გზას დაადგება და მალე, პოლიტიკურ სცენაზე არცთუ მნიშვნელოვან ფაქტორად გარდაიქმნება. ნაციონალებმა რებრენდინგი ვერ მოახერხეს, არადა ამ პროცესის დაწყებას დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ. ფულადი რესურსი იმ ადამიანების ხელშია, ვისაც ნაციონალურ მოძრაობაში რებრენდინგი არ აწყობს. ეს მათ აუცილებლად დაღუპავს.

— ხელისუფლების დამსახურება არ არის, რომ პროკურატურიდან გამოსული ნაციონალური მოძრაობის ოდიოზური ლიდერები დღეს რეიტინგის გაზრდაზე საუბრობენ?

— პროკურატურას იმდენი კომპეტენცია არ ჰყოფნის, თავისუფალ სასამართლოში დამნაშავეებს დანაშაული დაუმტკიცოს, მაგრამ ესეც შეიცვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარება ხელისუფლებას ცუდ შედეგებამდე მიიყვანს — ადამიანებს არჩევნებში სხვა პოლიტიკური ძალისთვის ხმის მიცემის მოტივაცია გაუჩნდებათ.

— ვინ არის „სხვა პოლიტიკური ძალა“?

— საქმეც ეგაა, რომ ჯერჯერობით, ეს სხვა პოლიტიკური ძალა არ ჩანს, მაგრამ შეიძლება გამოჩნდეს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნება“ ყველა რაიონში მოიგებს. ნაციონალური მოძრაობა კი, ყველგან მეორე ადგილზე ვერ გავა, მაგალითად, თბილისში. სამწუხაროდ, პოლიტიკურ პროცესებს ინტენსიურად ვერ ვადევნებ თვალს, მაგრამ მარტივი მისახვედრია, რომ არჩევნებამდე დაძაბული ფონის შექმნა ხელისუფლებისთვის კარგი არ არის.

— ანუ, არჩევნებამდე, რეგიონებში დაძაბულ ფონს ხელისუფლება არ ქმნის?

— გამოვრიცხავ, „ქართული ოცნება“ ვინმეზე ზეწოლას ახორციელებს, უბრალოდ, ადგილზე ვიღაცები ზედმეტ ინიციატივას იჩენენ. „ოცნებას“ ნაციონალური მოძრაობის დაჩაგვრა არ სჭირდება.

— და მაღალჩინოსნებს პრემიები სჭირდებათ?

— ესეც ცუდია. სახელმწიფო სამსახურიდან მეც იმიტომ წამოვედი, საკმაოდ დაბალი ანაზღაურება მქონდა.

— ცოტა ხნის წინ მითხარი, საჯარო სამსახურში არაკომფორტულად ვგრძნობდი თავსო. გამოდის, პრეზიდენტის სასახლის დატოვების მთავარი მიზეზი დაბალი ხელფასი ყოფილა...

— ერთ-ერთი მიზეზი ფულიც იყო, მაგრამ არა ყველაზე მნიშვნელოვანი. სახელმწიფო სამსახურში 3000-ლარიანი ანაზღაურება მაღალ თანხად ითვლება, ტელევიზიაში კი სამი ათასზე მეტი მაქვს. მიმაჩნია, რომ იმაზე მეტ თანხას ვიმსახურებ, ვიდრე სახელმწიფო სამსახურში მქონდა, თუმცა აქაც არ არის ფანტასტიკური ხელფასი. ეს ჩემსა და კერძო ტელევიზიას შორის ურთიერთობებია, რომელშიც ვერავინ ჩაერევა. ჩინოვნიკის ხელფასი კი ყოველთვის საზოგადოების განსახილველი ხდება, რადგან ის ბიუჯეტიდან გაიცემა. ასე რომ, მესმის აღშფოთება, რაც ამ პრემიებმა გამოიწვია. მეორე მხრივ, კარგი მენეჯერი დაბალ ხელფასზე არ იმუშავებს. ძალიან ღარიბ ქვეყანაში რთულია მოსახლეობას მოუწოდო, ბიუჯეტის კმაყოფაზე მყოფი ტიპების მაღალ ხელფასებს გაგებით მოეკიდონ, მაგრამ მოსახლეობას ისიც უნდა ავუხსნათ, რომ, თუ კარგი მმართველი გვჭირდება, კერძო სექტორიდან სახელმწიფო სამსახურში სამუშაოდ მას შესაბამისი ანაზღაურებაც სჭირდება.

— ისე, არასოდეს დაგიმალავს, რომ შენი მუშაობის მთავარი მოტივაცია ფული იყო.

— ეს თემა ჩემ მიმართ მოძველებულია. ნატურით მემარჯვენე ვარ და მიყვარს, როცა მუშაობის მოტივაციას ალაალად და გულწრფელად ასახელებენ. სამწუხაროდ, უამრავი ფარისეველი ადამიანი ამას არ აღიარებს და ტყუის, თითქოს ფული მნიშვნელოვანი არ არის. ფულზე საუბარი ჩემი ახალგაზრდული ეპატაჟი იყო, რომელიც მაშინ ჭრიდა. ახლა ეს საუბარი მოძველდა, საზოგადოებამ ამაზე რამდენჯერ უნდა ისაუბროს? ახლა სჯობია, ჩემი ნახელავი შეაფასონ.

— საპრეზიდენტო არჩევნებამდე შენ ნახელავზე — ტირაჟით ერთმილიონიან გაზეთზე დღემდე საუბრობენ, რადგან საზოგადოების უმრავლესობას წასაკითხად ერთი ცალიც კი არ უნახავს.

— ამის შესახებ არაფერი ვიცი. გაზეთის ბეჭდვა ჩემ კომპეტენციაში არ ყოფილა, ამ მიმართულებით სულ სხვა სტრუქტურები იყვნენ დაკავებულნი.

— არც შენსა და ბიძინა ივანიშვილს შორის არსებულ კონფლიქტზე ხმებია სიმართლე?

— ბიძინას არჩევნების შემდეგ არ შევხვედრივარ.

ვერსიანიუსი

ნოდარ ხადური აპრილში შემცირებული ბრუნვის მქონე საწარმოებს აფრთხილებს

ფინანსთა მინისტრის განცხადებით შესაბამისი სამსახურები პირველ ეტაპზე შეისწავლიან იმ კაზინოებს, რომელთა ბრუნვაც 2014 წლის აპრილში შემცირებული იყო.

მინისტრის თქმით, იანვარ-აპრილში კომუნალური და პერსონალური მომსახურების გაწევის სექტორში, მათ შორის სათამაშო ბიზნესში 13%, საფინანსო საქმიანობის სექტორში კი დაახლოებით 1.5%-იანი კლება დაფიქსირდა: **„რაც შეეხება აპრილს, მინუს 41% კლება იყო კომუნალურ მომსახურებასა და სათამაშო ბიზნესში. ამ კლებაში ძალიან დიდია „თბილსერვისის“ ხვედრითი წილი. წინა პერიოდში მისი ანაზღაურების წესი განსხვავებული იყო და ელექტროენერგიის მოხმარებაზე იყო მიბმული. ახლა ტარიფი ფიქსირებულია და, შესაბამისად, შემოსავლები დაკლებულია. თავს შევიკავებ კონკრეტული კაზინოების ჩამოთვლისგან, მაგრამ ჩვენი სამსახურები შეისწავლიან, რატომაა შემცირებული ამ კაზინოებში ბრუნვა. იმის გამო, რომ ხალხი არ დადის, თუ იმის გამო, რომ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. ეს შეიძლება ერთგვარი გაფრთხილებაც იყოს იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც აპრილში ბრუნვა შემცირებული აქვთ“.**

სასამართლომ აკმამედ იმამყულიევი მარნეულის გამგებლობის კანდიდატად დატოვა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაციონალური მოძრაობის სარჩელი დააკმაყოფილა.

მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამგებლობის კანდიდატს რეგისტრაცია 5 ივნისს იმ მოტივით გააუქმა, რომ აკმამედ იმამკულიევს 2 წელი საქართველოში არ უცხოვრია. საოლქო კომისიის გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამაც ძალაში დატოვა.

„ინტერპრესნიუსი“

დავით ცინდელიანის ოჯახი ახალაიებს სისხლის აღებით ემუქრება

გაუჩინარებული მეტყევე-რეინჯერის საქმე გახსნილია — რომან შამათავას ბრალი უფრო დაუმძიმდა

ეროსუდან შელია
557-100-768

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, მეორე უგზოუკვლოდ დაკარგული ადამიანის საქმეს ხსნის — სატყეო დეპარტამენტის მეტყევე-რეინჯერის, დავით ცინდელიანის განზრახ მკვლელობისა და წამების მუხლებით, აფხაზეთის კუდ-ის ყოფილ უფროსს, რომან შამათავას ბრალი დაუმძიმდა. ცნობილია, რომ 2008 წელს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ოფიცრის, პაატა ქარდავას მკვლელობაში სწორედ რომან შამათავა ფიგურირებს. როგორც ჩანს, აფხაზეთის კუდ-ის უფროსი არასასურველ პირებს ერთი და იგივე მეთოდით უსწორდებოდა — შავი ზღვის სიღრმეში ფეხზე ბეტონმობმული პირები გაყავდა და ერთი გასროლის შემდეგ, ცხედრებს ზღვაში ყრიდა. გავრცელებული ინფორმაციით, უგზოუკვლოდ კიდევ 20 ადამიანია დაკარგული. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით კი ხელისუფლება თითოეულ საქმეს გამოიძიებს და დამნაშავეებიც კანონის შესაბამისად დაისჯებიან.

გამოძიების ინფორმაციით, დავით ცინდელიანსაც აღნიშნული მეთოდით გაუსწორდნენ. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლების მიერ, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ირკვევა: **„2008 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, კუდ-ის ხელმძღვანელობისაგან მიიღო დავალება, მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში მცხოვრები მეტყევე-რეინჯერი დავით ცინდელიანი სვანეთიდან თბილისში ჩამოეყვანა. მათი ინფორმაციით, თითქოს ცინდელიანი აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობდა. კუდ-ის მაღალჩინოსნისთვის ცნობილი იყო, რომ 2008 წლის 16 აგვისტოს სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, ქალაქ ქუთაისში დანიშნული ჰქონდა იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამმართველოს თანამშრომლების გაერთიანებული თათბირი, სადაც სხვა თანამშრომლებთან ერთად დაბარებული დათო ცინდელიანიც იმყოფებოდა, ამიტომ, 2008 წლის 16 აგვისტოს, დაახლოებით 17:00 საათზე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც გადაადგილდებოდნენ „მერსედესისა“ და „ოპელის“ მარკის ავტომანქანებით, ქალაქ ქუთაისში, ნინოშვილისა და გრიშაშვილის ქუჩების კვეთასთან „ნივის“ მარკის ავტომანქანას დახვდნენ. აღნიშნულ ავტომობილში სხვა მეტყევე რეინჯერებთან ერთად დათო ცინდელიანი და მამამისი — ზაურ ცინდელიანი ისხდნენ. დათო ცინდელიანი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში ჩასვეს, ხოლო ქუთაისი-ბაღდათის საავტომობილო გზის მონაკვეთიდან ის „ტოიოტა ჰაილუქსში“ გადაიყვანეს და ბაღდათი-საირმის შემოვლითი გზით თბილისის მიმართულებით დაიძრნენ. მოგვიანებით, ტელეფონით მიღებული დავალების შესაბამისად, დათო ცინდელიანი თბილისის ნაცვლად ბათუმში ჩაიყვანეს და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროს რომან შამათავას გადასცეს. რომან შამათავამ და მისმა რამდენიმე თანამშრომელმა დავით ცინდელიანი ბათუმში, შავი ზღვის ნავმისადგომთან მიიყვანეს. გამოძიების ინფორმაციით აფხაზეთის კუდ-ის ყოფილი ხელმძღვანელი სატყეო დეპარტამენტის მეტყევე-რეინჯერს აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა, დაკავებული კი, ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა. რომან შამათავას დავალებით, ზემოაღნიშნულ პირებს ნავმისადგომთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კუდ-ის მთავარი სამმართველოს კუთვნილი მოტორიანი ნავი ელოდებოდა, რომელსაც ამავე დანაყოფის თანამშრომელი მართავდა. რომან შამათავამ დავით ცინდელიანი აღნიშნულ ნავში ჩასვა, აუხვია თვალები და ნავმისადგომზე მყოფ აფხაზეთის კუდ-ის ერთ-ერთ თანამშრომელს ნავიდან უბრძანა, მას გაჰყოლოდა. ბრძანება შესრულდა — ნავი შავი ზღვის სიღრმეში, დაახლოებით 4 კილომეტრის მანძილზე შევიდა. ცოტა ხანში, რომან შამათავამ ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის არეში ერთი გასროლით დავით ცინდელიანი მოკლა, რის შემდეგაც ნავზე არსებული ბეტონნარევი რკინის ღუზა გვამს სხეულზე თოკით შეაბა და ცხედარი შავ ზღვაში თავად გადააგდო“!**

რომან შამათავა ე.წ. ხურჩის ტერაქტის საქმეზე უკვე დაკავებულია. შსს-ს ინფორმაციით, 2008 წლის 21 მაისს საპარლამენტო არჩევნების დღეს, ხურჩაში ორი სამგზავრო ავტობუსი, რომელსაც სოფელ ნაბაკევის მოსახლეობა არჩევნებში მონაწილეობისთვის ზუგდიდში უნდა გადაეყვანა რომან შამათავას ორგანიზებით ააფეთქეს. ამ ეპიზოდზე რომან შამათავას და მალხაზ მურღულიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარედგინათ, რაც სასჯელის სახით 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუმცა დავით ცინდელიანის ოჯახი დათა ახალაიას დასჯასაც მოითხოვს. გარდაცვლილის დედის, **თამარ არღვლიანის** განცხადებით, რომან შამათავა მისი შვილის მკვლელობის მხოლოდ შემსრულებელია, დამკვეთი კი დათა ახალაიაა: **„თუ ახალაიას ჩემი შვილის მკვლელობისთვის ბრალი არ წარედგინება და უმკაცრესად არ დაისჯება, მთელი სვანეთი ფეხით თბილისში, პროკურატურასთან ჩავალთ და უვადო შიმშილობას გამოვაცხადებთ. ჩვენი ოჯახი კი, ახალაიებზე შურს სვანური წესით იძიებს. დათა ახალაიამ ჩემი შვილი იმის გამო გაწირა, რომ 2008 წელს აგვისტოში კუდ-ის თანამშრომლებს დაუპირისპირდა. მას შემდეგ, რაც კოდორი დათმეს, დათომ კოდორიდან გადმოსულ კუდ-ის თანამშრომლებს უსაყვედურა და პასუხი მოსთხოვა კოდორის უიარაღოდ დატოვების გამო. ამ შელაპარაკებას მოწმეები ყავს, რომლებიც დღესაც იგივეს დაადასტურებენ. შელაპარაკებიდან მეორე დღეს, დათი ქუთაისში დააბარეს, შემდეგ კი, ახალაიას ბრძანება აფხაზეთის კუდ-ის მაშინდელმა უფროსმა რომან შამათავამ სისრულეში მოიყვანა და ჩემი შვილი ზღვაში ჩაახრჩო. აღნიშნულს შამათავას ოთხი ყოფილი თანამშრომელი ჩვენებით ადასტურებს“.**

ექსპერტ **კახი კახიშვილის** განცხადებით, რომან შამათავა დავალებებს მართლაც სხვა მაღალჩინოსნებისგან იღებდა, ამიტომ გამოძიებამ რეალური დამკვეთებიც უნდა დაადგინოს:

— გამოძიებამ ის პირებიც უნდა დაადგინოს, ვინც მსგავსი ტიპის ორგანიზებულ დანაშაულში როგორც პირდაპირ, ისე ირიბად მონაწილეობდნენ. ძნელად წარმომიდგენია, რომან შამათავამ მსგავსი ტიპის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. ყველამ კარგად იცის, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, ძალოვან სტრუქტურებში მსგავსი საკითხები შამათავას დონეზე არ წყდებოდა. ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას, ხელმძღვანელობის რგოლში იყო ჯგუფი, რომლებიც შამათავას ასეთი ტიპის დანაშაულის ჩადენას ავალებდნენ. მეტიც, პროკურატურაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც დანაშაულის კვალს მაქსიმალურად შლიდნენ. მათ არ სურდათ საზოგადოებას ჭეშმარიტება ოდესმე დაედგინა — პაატა ქარდავასა და დავით ცინდელიანის გაუჩინარების შემდეგ, მათი ოჯახის წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები წინა ხელისუფლებას საქმეების გახსნის თხოვნით მიმართავდნენ, თუმცა, როგორც პროკურატურა, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ამ საკითხზე არასერიოზულ განმარტებებს აკეთებდნენ. ამიტომაცაა აუცილებელი, გამოძიებამ ამ საზარელ დანაშაულში ჩართული პირები დაადგინოს და პასუხისგებაში მისცეს.

— 2008 წელს კუდ-ს დათა ახალაია ხელმძღვანელობდა. გამოძიება შეძლებს, მკვლელობის რეალურ დამკვეთებს ბრალი დაუმტკიცოს?

— იურისტი ვარ და უდანაშაულობის პრეზუმპციას ვერ დავარღვევ. ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. პაატა ქარდავასა და დავით ცინდელიანის საქმეც სასამართლოში საკმაოდ მყარ მტკიცებულებებს საჭიროებს, რადგან ამ შემთხვევაში გვამი არ არსებობს და სასამართლო ექსპერტიზა სიკვდილის მიზეზს ვერ დაადგენს. იმედს ვიტოვებ, პროკურატურამ შესაძლო რისკები კარგად შეისწავლა და სასამართლოში ბრალდების მყარად დასაბუთებას შეძლებს, რათა საბოლოოდ, გამამართლებელი განაჩენი არ მივიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროკურატურისგან ვერ მოვისმენთ არგუმენტს, რომ სასამართლო გარკვეული ძალებისგან იმართება.



„ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებების განთავსება სახელმწიფო დონის საკითხია და არა რომელიმე სამინისტროს პრეროგატივა“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას ცნობილ განცხადებას, საქართველოში ნატო-ს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განლაგების შესახებ, განსხვავებული შეფასებები მოჰყვა. მინისტრის წინადადებამ თანაგუნდელებშიც კი კრიტიკა გამოიწვია. ექსპერტების ნაწილიც ქართულ მხარეს, რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ლოკალური ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების მკვლევარი, **ალიკა ტალური** შემდეგ გარემოებებზე ამახვილებს ყურადღებას: **„უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა აშკარად გამოხატული გლობალური დაპირისპირების ფორმა მიიღო, რაც ახალი პოლიტიკურ-სამხედრო და თავისთავად ეკონომიკური გავლენის გადანაწილებაში გამოიხატება. ეს მიანიშნებს, რომ მსოფლიო ცივი ომის ეპოქას უბრუნდება. რუსეთის წინააღმდეგ 21-ე საუკუნის გლობალური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ფონზე მიღებული სანქციები, წამგებიანი იქნება დასავლეთისთვისაც. ისტორიულად, ეკონომიკური სანქციების ინსტიტუტი 1920 წლიდან არსებობს, 1960 - იანი წლებიდან კი ამოქმედდა ისეთი ქვეყნების წინააღმდეგ, როგორიცაა ირანი, ტანზანია, ზიმბაბვე, სამხრეთ აფრიკა, სსრკ, ერაყი, ინდოეთი და ჩინეთი. ამ სანქციებს განსაკუთრებული ზეგავლენა არასოდეს მოუხდენია გლობალურ პოლიტიკურ პროცესებზე. ეს დასავლეთმაც იცის და რეალისტურად აფასებს, რა შეიძლება მოჰყვეს კონფლიქტის ესკალაციას მსოფლიოსთვის. ეს დაპირისპირება თავიდან ატომურ ელემენტსაც კი იძენდა – ხმელთაშუა თუ შავი ზღვის აკვატორიაში ამერიკული საზღვაო სტრატეგიული საშუალებების გამოჩენამ, ხოლო რუსეთის სათანადო რეაგირებამ და იმის შეხსენებამ, რომ იგი ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ რჩება ატომური არსენალის მფლობელობით, მსოფლიოს ატომური ომის საფრთხე შეახსენა. ამან გამოაფხიზლა ყველა და მათ შორის უკრაინელი პოლიტიკოსებიც. სიფხიზლემ იმარჯვა, მაგრამ სამხედრო ესკალაციამ უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტის ფორმა მიიღო, თუმცა პრორუსულად განწყობილი ძალების არაადეკვატური შეიარაღება რომ არა, შესაძლოა, რეგიონული კონფლიქტის მოწმეები გავმხდარიყავით.**

ამის გამორიცხვა არც შეიძლება, რადგან ანალოგიურ შემთხვევებში, სუსტის მხარეს ყოველთვის ჩნდება უხილავი ძალა, რომელიც მზადაა, ძალთა დასაბალანსებლად, უსასყიდლოდ გადასცეს საბრძოლო საშუალებები.

კონფლიქტში ვითარებას უკიდურესად ართულებს მძიმე შეიარაღებისა და ტექნიკის, განსაკუთრებით კი რეაქტიული სისტემების — „გრადისა“ და „ურაგანის“ ტიპის საშუალებების გამოჩენა, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, უკრაინას გადაწყვეტილი ჰქონდეს, დონეცკი ან ლუგანსკი „გროზნო-2“-ად გადააქციოს.

მიმდინარე პროცესები გავლენას კავკასიის რეგიონსა და საქართველოზეც ახდენს. თავდაცვის მინისტრის მიერ გახმოვანებული იდეა, ცვლის ძალთა ბალანსს კავკასიის რეგიონში და სათანადო რეაგირებას გამოიწვევს ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან. სუფთა ტექნიკური თვალსაზრისით, ამ სისტემების განთავსებას საქართველოს ტერიტორიაზე, უნდა უძღვოდეს სერიოზული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, საინჟინრო და ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რადგან ამ კომპლექსების განთავსება და საბრძოლო მორიგეობა დამოკიდებულია ამ კომპონენტების სათანადო განლაგებასა და გამართულ სინქრონულ მუშაობაზე. ასეთი დონის რაკეტ და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებების გამოყენება-განთავსება სტრატეგიული, სახელმწიფო დონის საკითხია და არა ერთი რომელიმე სამინისტროს პრეროგატივა“.

გიორგი ბარამიძის საბიუჯეტო შეცდომები ანუ რა განსხვავებაა ფაქტებსა და კომპრომატებს შორის

მე-3 გვერდიდან

ეს თანხა, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, 2011/21 ხელშეკრულების შემთხვევაში — 20 700 ლარი, ხოლო 2011/22 ხელშეკრულების შემთხვევაში — 20 500 ლარი იყო.

2012 წელსაც, ანალოგიური მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში (SPA 110032880 — სამგზავრო „სედანის“ ტიპის მანქანა მძღოლთან ერთად და SPA 110032883 — სამგზავრო „უნივერსალის“ ტიპის მანქანა მძღოლთან ერთად), მონაწილეობა მიიღო თითო პრეტენდენტმა, რომლებთანაც 2012 წლის 10 იანვარს, გაფორმდა 2012/25 და 2012/26 ხელშეკრულებები, სავარაუდო ღირებულების შესაბამის თანხაზე, რაც 24 500 ლარი იყო. სატენდერო დოკუმენტაციებით, „სედანის“ ტიპის ავტომანქანის შემთხვევაში, მძღოლის ასაკი 21-დან 38 წლამდე განისაზღვრა, ხოლო სამგზავრო „უნივერსალის“ ტიპის ავტომანქანის შემთხვევაში — 38-დან 48 წლამდე. სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებმა, სახელმწიფო აუდიტორებს ვერ წარუდგინეს შესაბამისი მტკიცებულებები, რაც აუდიტორებს სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ასაკობრივი კრიტერიუმების განსაზღვრის აუცილებლობაში დაარწმუნებდა. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტორებს მიაჩნიათ, რომ ასაკობრივი კრიტერიუმების დადგენით, ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირთა რაოდენობა შეიზღუდა, რაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონს, უფრო კონკრეტულად კი შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომების უზრუნველყოფას ეწინააღმდეგება. რაც მთავარია, ხელშეკრულებები ამ შემთხვევაშიც იგივე მიმწოდებლებთან გააფორმეს, რომლებისგანაც აპარატი ანალოგიური სახის მომსახურებას 2011 წლის განმავლობაში იღებდა.

ავტომანქანის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის — SPA 110031978 სატენდერო დოკუმენტაციაში, საქონლის ტექნიკური პირობების აღწერისას გამოყენებულია ისეთი პარამეტრები, როგორიცაა ადგილების რაოდენობა, ძრავის მოცულობა, საბურავის ზომა, ცხენის ძალა, აუდიო სისტემა, სანავიგაციო სისტემა. სახელმწიფო აუდიტორებს მიაჩნიათ, რომ ამ პარამეტრებს ერთობლიობაში, მხოლოდ შესაბამისი კლასისა და მარკის ავტომობილი აკმაყოფილებს, რაც თავის მხრივ, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირების მიმართ სამართლიან მიდგომებს არ უზრუნველყოფს. ამ კონკრეტულ ტენდერში მხოლოდ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ მონაწილეობდა, რომელთანაც 2011 წლის 23 დეკემბერს, 2011/401 ხელშეკრულება გაფორმდა, სახელშეკრულებო ღირებულება კი 122 000 ლარით განისაზღვრა. გარდა ამისა, დამატებით, 800 ლარის ფარგლებში შეიძინეს ავტომანქანის ციმციმა და ტუნერი.

აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტებმა, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი მონაცემები სრულყოფილად არ წარადგინეს. მაგალითად, ფოტოსურათების ბეჭდვითი მომსახურებისა (SPA 110003087) და ლაზერული პრინტერების კარტრიჯების დატენვა-შეკეთების (SPA 110004692) მომსახურების მიზნით, გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერების მიმდინარეობისას, პრეტენდენტებმა წლების მიხედვით, ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ, მონაცემები არ წარადგინეს. სატელეფონო მომსახურების მიღების მიზნით, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA 110032739) მონაწილე პრეტენდენტმა არ წარადგინა ინფორმაცია საერთაშორისო ზარების ღირებულება, როგორც ფიქსირებულ, ისე მობილურ ოპერატორებთან. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიას, მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ტენდერში მონაწილე პირებისთვის ინფორმაციის დაზუსტების მოთხოვნით არ მიუმართავს. არადა, შესაძლოა, ამ ინფორმაციის დაუზუსტებლობა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის საფუძველიც კი გამხდარიყო.

გამარტივებული წესით განხორციელებული შესყიდვებისას, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, მომწოდებლებთან 2011-2012 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებები, კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევითაა შედგენილი. კერძოდ, 2011/281, 2011/382, 2011/34 და 2011/262 ხელშეკრულებებში, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის ვადები გათვალისწინებული არ არის; 2011/159. 2011/162 და 2011/72 ხელშეკრულებებში კონკრეტული მოქმედების ვადები მითითებული არ არის; 2011/169. 2011/21 და 2011/34 ხელშეკრულებებში, კანონის შესაბამისი მუხლისა და პუნქტის მითითებით, ხელშეკრულების დადების საფუძველი განსაზღვრული არ არის. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა 2011-2012 წლებში, მიმწოდებლებთან ისეთი ხელშეკრულებები გააფორმეს, რომლებშიც კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები დარღვეულია.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მიმწოდებლებთან გაფორმებული 2011/63, 2011/79, 2011/78 და 2011/66 ხელშეკრულებების თანახმად, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ისეთი დასახელების საქონელი შეიძინა, როგორიცაა კედლის ლარტყა — 1 200 ლარი, მრგვალი მაგიდა — 1 400 ლარი, 7 ცალი სავარძელი — 2 800 ლარი, ჯვარედინი ფორმის მაგიდის ძირი — 500 ლარი. სახელმწიფო აუდიტორებს მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში, აპარატის გადაწყვეტილება უსაფუძვლოა.







Giorgi Baramidze

Room No.	33059
Conf No.	294538140
Arrival	01/08/12
Departure	01/09/12

DATE	DESCRIPTION	CHARGES	CREDITS
01/08/12	Deposit Applied		379.68
01/08/12	BEL Refreshment Center (NT)	5.00	
01/08/12	BEL Refreshment Center (T)	6.49	
01/08/12	BEL Buffet Bev	18.00	
01/08/12	BEL Buffet Bev	9.00	
01/08/12	BEL Refreshment Center (NT)	6.00	
01/08/12	BEL Refreshment Center (NT)	9.00	
01/08/12	Room Rate	339.00	
01/08/12	BEL Room Tax - 12%	40.68	
01/08/12	BEL Resort Fee	20.00	
01/08/12	BEL Resort Fee Tax -12%	2.40	
	Total	455.57	379.68
	Balance	75.89	



FOUR SEASONS HOTEL
Prague

Mr. Giorgi Baramidze
D. Uznadze 6
Tbilisi
Georgia

Room No. (Cislo pokoje): 404

Invoice No. (Cislo faktury)
Date (Datum): 26-12-11
Taxable Date (Datum zdanitelneho plneni): 26-12-11
Arrival (Prijezd): 22-12-11
Departure (Odjezd): 26-12-11
Page (Strana): 1 of 2

Date (Datum)	Description (Popis)	Supplement (Dodatek)	Charges (K uhrade) CZK	Credits (Opravy/Platby) CZK
2-11	Laundry			
22-12-11	VAT 20%		1,125.00	
22-12-11	Health Club Gratuity		225.00	
2-11	Accommodation		600.00	
22-12-11	City Tax		8,883.11	
22-12-11	VAT 10%		15.00	
23-12-11	Room Service		888.31	
23-12-11	Health Club Miscellaneous 10%	Health club service	3,919.00	
23-12-11	Private Bar		4,840.00	
23-12-11	Internet Premium		2,000.00	
23-12-11	Accommodation		600.00	
23-12-11	City Tax		8,883.11	
23-12-11	VAT 10%		15.00	
24-12-11	Health Club Gratuity		888.31	
24-12-11	Health Club Miscellaneous 10%	Health club service	600.00	
24-12-11	Telephone Local		4,840.00	
24-12-11	Internet Premium		61.00	
2-11	Accommodation		600.00	
24-12-11	City Tax		8,883.11	
24-12-11	VAT 10%		15.00	
2-11	Room Service		888.31	
25-12-11	Accommodation		3,896.00	
25-12-11	City Tax		8,883.11	
25-12-11	VAT 10%		15.00	
25-12-11	American Express		888.31	
				62,451.68
	Total (Celkem)		62,451.68	62,451.68
	Balance (Celkem k uhrade)		0.00 CZK	

FSHP, a.s. VELESLAVINOVA 1098, 110 00 PRAHA 1, CZECH REPUBLIC

ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში, ერთ-ერთი საინტერესო თავი ტრანსპორტის დაქირავების ხარჯებია. მარტივად რომ ავხსნათ, ერთი და იგივე მიმართულებით, ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებებში, საბიუჯეტო თანხები სულ სხვადასხვანაირადაა გახარჯული. ტრანსპორტის მომსახურების მიზნით, აუდიტის პერიოდში, სხვადასხვა მიმწოდებლებთან ჯამში 11 800 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები გაფორმდა. 2012 წლის 22 მარტს, ღონისძიებისთვის „ევროკავშირი — აღმოსავლეთის პარტნიორობის პირველი ფორუმის“ სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების მიზნით, შპს „გრატისთან“ 2012/100 ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის ღირებულება 5 400 ლარი იყო. ხელშეკრულებას წინასწარი ხარჯთაღრიცხვა არ ახლავს, მაგრამ გამარტივებული ანგარიშფაქტურის დანართი 1-ის მიხედვით, რაც აპარატმა აუდიტორებს წარუდგინა, ირკვევა, რომ კომპანიას შემდეგი სახის მომსახურება აუნაზღაურდა: მიკროავტობუსით (კლასი მითითებული არ არის) თბილისი-აეროპორტი-თბილისი — 150 ლარი, სულ 3 რეისი განხორციელდა, რაც ჯამში 450 ლარი დაჯდა; მსუბუქი ავტომობილით თბილისი-აეროპორტი-თბილისი — 120 ლარი, 5 რეისი შესრულდა, რამაც ჯამში 600 ლარი შეადგინა; საბარგო ავტომობილით თბილისი-აეროპორტი-თბილისი — 120 ლარი. რაც შეეხება თბილისში მომსახურებას, მიკროავტობუსი 1 დღე — 350 ლარი; მსუბუქი ავტომობილი 1 დღე — 250 ლარი; ავტობუსი 1 დღე — 450 ლარი.

სხვადასხვა ხელშეკრულების მიხედვით, თბილისი-გუდაური-თბილისის მიმართულებით მომსახურება, ერთ შემთხვევაში ანაზღაურებულია 800 ლარით, ხოლო სხვა შემთხვევაში — 1 000 ლარით. თბილისი-გორი-რუსთავის მიმართულებით, E კლასის „მერსედესის“ მარკის ავტოტრანსპორტით მომსახურებაში 296 ლარი და 61 თეთრით აანაზღაურეს, ხოლო იმავე ავტომობილით, მხოლოდ თბილისი-გორის მიმართულებაში 338 ლარი გადაიხადეს! სახელმწიფო აუდიტორებს მიაჩნიათ, რომ მარშრუტების მიხედვით ანაზღაურებული თანხები, ბაზარზე დღეს არსებულ ღირებულებას აშკარად აღემატება!

გართობა ჯაზფესტივალზე და 4 500-ლარიანი ნომერი სასტუმროში!

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაწეულმა საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა 2011 წელს, 332 700 ლარი, ხოლო 2012 წელს — 157 900 ლარი შეადგინა. აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი საბუღალტრო დოკუმენტაცია კი სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება, რადგან ამ დოკუმენტებში (ბრძანება, ჩეკი, ინვოისი, მენიუ, მიღება-ჩაბარების აქტი), მხოლოდ გაწეული ხარჯის ზოგადი არსია მითითებული. აპარატის ხელმძღვანელობის მიერ გაცემულ ბრძანებაში სტუმრების ვინაობა და მათი რაოდენობა დაკონკრეტებული არ არის.

მაგალითად, 2011 წლის 2011/210 ხელშეკრულების საფუძველზე, მე-8 საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ მონაწილეთა განთავსებისა და საკონფერენციო მომსახურების მიზნით, 20 900 ლარი გაიხარჯა.

დასასრული მე-7 გვერდზე



მიღება-ჩაბარების აქტი

25 ივლისი, 2011წ

ქ. თბილისი

„დასაკარგი არაფერი მაქვს, არც გარეთ მელოდება ვინმე...“

როგორ აწამეს ციგანა ჟურნალებისგან გაკეთებულ გიტარაზე დაკვრის გამო

პატიმარი №0578

რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ერთი შავი კაცი იჯდა. სახელით მას არავინ მიმართავდა და მთელი ზონა ციგანას ეძახდა. ისიც ამაყობდა და მუდმივად იმეორებდა, რომ 30 ათას პატიმარში, რომელიც საქართველოს მასშტაბით იყო გადანაწილებული, ერთადერთი ბოშა იყო, ნამდვილი ბოშა და არა მოლდოველი ან რუმინელი. 43 წლის ციგანა ციხეში ყოფნის 21-ე წელს ითვლიდა და მობილური მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ნანახი, უცხოური მარკის ავტომობილში კი ნაჯდომიც არ იყო. ერთადერთი, გიტარის უქონლობა აწუხებდა. ძველი პატიმრები ამბობდნენ, რომ წინა „სროკების“ დროს, როცა ზონაში ქურდები იყვნენ, ციგანას გიტარა მუდმივად ჰქონდა, არც ჭამა ახსოვდა, არც სმა, მთელი დღე უკრავდაო.
ერთ დღეს ციგანა თანასაკნელთან მივიდა და საიდუმლო ხმით უთხრა.

— შენ გაზეთებს რომ გიგზავნიან, არ შეგიძლია პრიალა ჟურნალები შემოაგზავნინო?

— რად გინდა ციგან, კითხვა შენ არ იცი და ქალები კიდევ ტელევიზორშიც ჩანს.

— მინდა, ძალიან მინდა. გიტარა უნდა ავაწყო, — იდუმალი ხმით თქვა ციგანამ და საკუთარ ნარზე ნაცემი ძაღლივით აძვრა.

პატიმარი, რომლის ნომერი 0578 გახლდათ, პრესას მუდმივად ეცნობოდა და ახალი გაზეთებიც მუდმივად ჰქონდა. იმავე დღეს დარეკა და მეორე დილით, დაახლოებით ოცი ფერადი ჟურნალი მოუტანეს. ციგანამ სიხარულით ხტუნვა დაიწყო და პატიმრებს ჩამოუარა, პურის გული მომეცითო. პურის გულისგან ფაფა მოხარშა და ჟურნალის ფურცლები ერთმანეთზე დააწება. საკმაოდ მყარი ქაღალდი გამოვიდა, ფანერის მსგავსი. ეს ფანერები ციგანამ ოთხკუთხედად შეკრა და ხის ტარი დაუყენა, სიმებად კი ტელეფონის ფოლადის წვრილი მავთულები დაუმაგრა და ერთ საღამოს 67-ე საკანში გიტარის ხმა გაისმა. მართალია, ცოტა ყრუ, ცოტა არეული, მაგრამ ციხისთვის ესეც საკმარისი იყო.

მეორე დღეს მთელმა ზონამ იცოდა, რომ ციგანას გიტარა ჰქონდა და 67-ე საკანში ხალხმრავლობა იყო. ორი დღის შემდეგ, ღამის სამ საათზე 67-ე საკნის კარი გაიღო და სპეცდანიშნულების რაზმმა საკანი დაიკავა. რეჟიმის უფროსმა, ლევან პაჭკორიამ, იგივე „ნინძამ“ ჩუმად თქვა: გვითხრეს, რომ საკანში გიტარა გაქვთ. მე არ მჯერა, „შმონს“ ნუ ჩამატარებინებთ, გამოაჩინეთ თუ მართლა გაქვთო. ციგანა ნარიდან ჩამოვიდა და გიტარა მაგიდაზე დადო. „ნინძა“ გაფითრდა, ხან გიტარას შეხედა, ხან ციგანას. მერე კი ჩუმად თქვა — ციგან, თუ გინდა გიტარა დაგიტოვო, პოლიციის ჰიმნი დაუკარი...

ახლა ციგანას გაფითრების დრო დადგა. 20-მდე სპეცრაზმელი და 13 პატიმარი მას მისჩერებოდა. ციგანამ ჯერ გიტარას შეხედა, მერე საკანს მოავლო განწირული თვალები და ბოლოს ამოილუღლუღა — პოლიციის ჰიმნი არ ვიცი უფროსო, ეგ ახალი სიმღერაა, ნოტები არ მინახავს, ტექსტი არ მახსოვს და ვერ დავუკრავ...

— რაც იცი, მაშინ ის დაუკარი, — უთხრა პაჭკორიამ.

— ციგანამ ხელის კანკალით აიღო გიტარა, სკამზე ჩამოჯდა, ჩაფიქრდა და ნელა, ძალიან ნელა ჩამოკრა სიმებს ხელი. პატიმრებს მელოდია ეცნოთ და გაისუსნენ, სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს კი ნიღბებს იქეთ მიმალული თვალები ჩაუსისხლიანდათ. „ასეთია ქურდი კაცის ბედი“... ჩუმი ხმით დაიწყო ციგანამ და მერე ნელ-ნელა აუწია. დაახლოებით ორ წუთში მთელ ზონას ეღვიძა და 67-ე საკნიდან, სიმღერას უსმენდა.

„მე ციხეში მოვკვდე, დავიმარხო“... ბოლო ხმაზე გაჰკიოდა ციგანა და ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. სიმღერას მორჩა, პაჭკორიამ გიტარას ხელი მოჰკიდა და გარეთ ჩუმად გავიდა. საკნის კარი დაიხურა და ყველამ შვებით ამოისუნთქა. ციგანას მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ, ზოგი ვაშლს ტენიდა ხელში, ზოგიც ყავას და ჩაის.

„არ უნდა მომეტანა ჟურნალები, არ აპატიებს ამას პაჭკორია, დაღუპავს ციგანას“, — ჩაილაპარაკა №0578-მა პატიმარმა და საბანი თავზე წაიფარა.

მეორე დღეს ციგანას პაემანზე დაუძახეს. ცოცხალი თავით არ უნდოდა გასვლა. რაც ციხეში ვარ, ჩემთვის არავის მოუკითხავს, ცოლი მყავდა, მომიკვდა, შვილიც მომიკვდა და მშობლები დიდი ხანია აღარ მყავსო. მაინც წაიყვანეს და საკანში 20 დღის შემდეგ დააბრუნეს. თითქოს არაფერი სჭირდა, მაგრამ...

— რა პაემანი, კარცერში გამაქანეს. სამი დღე მცემდა პაჭკორია. მარტო მცემდა, მაგრამ საფუძვლიანად. ერთ დღეს გრძნობა დავკარგე და აზრზე „რეზბალნიცაზე“ მოვედი. არ მეუბნებიან, რისი ოპერაცია გამიკეთეს, მაგრამ მთელ მუცელზე გაჭრილი ვარ. ახლა მომიყვანეს და აქ ვარ, — ციგანას საუბარი უჭირდა, რადგან მხოლოდ ხუთი კბილი ჰქონდა შერჩენილი. როგორც თავად თქვა, წინა კბილები ჩაუმტვრიეს, უკანა კი ბრტყელტუჩათი დააძრეს და რომ არა ის ოპერაცია, საერთოდ უკბილოდ დარჩებოდა....

ზუსტად ორი თვის შემდეგ ციგანა ძველ ნაცნობ პატიმარს მიუცუცქდა და საიდუმლო ხმით ჰკითხა — შეგიძლია, პრიალა ჟურნალები ისევ შემოატანინო?

— გაგიჟდი, ციგან? რა პრიალა ჟურნალები, ნახევარი კაცი დაგტოვეს, შენ კიდევ ეგ გინდა? არ შემოვიტან...

— მომისმინე, მე დასაკარგი არაფერი მაქვს, არც გარეთ მელოდება ვინმე, აქაც თქვენ მინახავთ. შემოატანინე რა, თორემ ხომ იცი, მაინც ვიშოვი...

ორი კვირის შემდეგ 67-ე საკანში ხალხმრავლობა იყო. ციგანა ახალ გიტარაზე უკრავდა და ბოლო ხმაზე გაჰკიოდა „ასეთია ქურდი კაცის ბედი“... ორ დღეში, ღამის სამ საათზე 67-ე საკნის კარი გაიღო და საკანში სპეცდანიშნულების რაზმის წევრებთან ერთად, გაფითრებული „ნინძა“ გამოჩნდა...

გიორგი ბარამიძის საბიუჯეტო შეცდომები ანუ რა განსხვავებაა ფაქტებსა და კომპრომატებს შორის



PRO-FORMA INVOICE 5144 — 17.03.2012

ORGANIZATION	Baramidzis Aparati
RESPONSIBLE PERSON	Rostom Vasadze
INDIVIDUAL	
TEL / FAX NUMBER	
EMAIL ADDRESS	rvasadze@geo.gov.ge
CITY, COUNTRY	Tbilisi Georgia

GUDAURI MARCO POLO
LTD "Gudauri Ski Resort"
31, Makashvili str., Tbilisi, Georgia

CHECK-IN	CHECK OUT	SERVICE DESCRIPTION	NIGHTS	NOF ROOMS	GEL PRICE	GEL TOTAL
15.03.2012	17.03.2012	Hotel Service	1	1	4,464.40	4,464.40
			Total in GEL(VAT included)			4,464.40

PAYMENT DETAILS: CASH ☐ BANK TRANSFER ☑ CREDIT CARD ☐

BANK TRANSFER FEE PAID BY: SENDER ◉ BENEFICIARY ○

Responsible Person: Irakli Mamporia

Please, transfer amount stated above to following Bank Account:

მიმღები შპს გუდაური სკი რესორტ
საიდენტ. კოდი 204576066
ანგ. № GE75TP0036020060016868
ბანკი სს პრივატბანკი
ბანკის კოდი 220101702

Payment and Cancelation Terms

For group bookings 30% down payment should be transferred minimum 7 days before arrival
For individual bookings 50% down payment should be transferred t minimum 7 days before arrival
sent by Credit Cards (Visa / Master) & Cash are exapted upon arrival or departure.
Cancellation charge for group bookings 30% of the total cost of the room will apply from 15 to 8 days before arrival
Cancellation charge for group bookings 50% of the total cost of the room will apply from 7 to 3 days before arrival
Cancellation charge for group bookings 75% of the total cost of the room will apply 2 days before arrival
Cancellation charge for individual bookings-15 Euro will apply 15 days before arrival
Cancellation charge for individual bookings 50% of the total cost of the room will apply from 14 to 8 days before arrival
Cancellation charge for individual bookings75% of the total cost of the room will apply from 7 to 3 days before arrival
Cancellation charge for individual bookings 100% of the total cost of the room will apply from 7 to 3 days or less before arrival

THANK YOU FOR COOPERATION

KAZBEGI REGION, GUDAURI, GEORGIA., TEL / FAX:+995 32 202400, EMAIL: hotel@gudauri.ge WEB: www.gudauri.ge

მე-6 გვერდიდან

სახელმწიფო აუდიტორებს ვერ წარუდგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დეტალურად იქნებოდა გაწერილი სტუმრების რაოდენობა და დღეების მიხედვით გასაწევი სასტუმროსა და საკონფერენციო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა. აუდიტორებს მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტი და მთლიანი თანხის ანგარიშფაქტურა გადასცეს. ამავე კონფერენციის გახსნის მიზნით, სტუმრებისთვის ვახშმის უზრუნველსაყოფად, 2011 წლის 21 ივლისს, მიმწოდებელთან გაფორმდა 2011/215 ხელშეკრულება, რის საფუძველზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 11 300 ლარი გაიხარჯა. ამ შემთხვევაში, არც ბრძანება და არც ამ ბრძანების საფუძველზე გაწეული ხარჯების დოკუმენტაცია სტუმრების რაოდენობის შესახებ მონაცემებს არ შეიცავს. აუდიტორებს მხოლოდ მთლიანი თანხის ანგარიშფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი წარუდგინეს.

„ევროკავშირი-აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველი ფორუმის გამართვასთან დაკავშირებით, 2012 წელს, 16 400 ლარის ღირებულების 2012/110 ხელშეკრულება გაფორმდა. სახელმწიფო აუდიტორებს წარუდგინეს ჩეკი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 23 მარტს, მომსახურება გაუწიეს 140 კაცს (მოცეკვავეების, მუსიკოსებისა და ოპერატორების მომსახურება — 1 700 ლარი, ხოლო რესტორნის მომსახურება — 14 700 ლარი, ჯამში — 16 400 ლარი დაჯდა). სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 21 მარტის 36 ბრძანებაში, რაც ღონისძიებისთვის წარმომადგენლობით და სხვა ხარჯებს ეხება, მიწვეული სტუმრების რაოდენობა და ვინაობა განსაზღვრული არ არის.

სხვადასხვა ღონისძიებაზე დასწრების მიზნით, 2011 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ბიუჯეტიდან 5 400 ლარი გახარჯა. 21-24 ივლისს, ბათუმის ჯაზფესტივალზე დასასწრები ბილეთების შესაძენად, 2011/213 ხელშეკრულების საფუძველზე, 4 000 ლარი გახარჯეს. 21 ივლისს, 40-ლარიანი 30 ბილეთი; 22 ივლისს, 40-ლარიანი 35 ბილეთი; 23 ივლისს, 60-ლარიანი 10 ბილეთი, ხოლო 24 ივლისს, 90-ლარიანი 9 ბილეთი შეიძინეს. სახელმწიფო აუდიტორებმა, იმის საკმარისი მტკიცებულებები ვერ მოიპოვეს, რომლითაც მიწვეული სტუმრების ვინაობასა და მათზე გაწეული ხარჯების რეალობაში დარწმუნდებოდნენ. სახელმწიფო მინისტრის 30 ივნისის 151 ბრძანება, 2011 წლის 21-23 ივლისს დაგეგმილი, მე-8 საერთაშორისო კონფერენციის — „საქართველოს ევროპული გზა“ ფარგლებში, ღონისძიების ორგანიზებასა და ფინანსურ უზრუნველყოფას ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, ღონისძიების დასრულების შემდეგ, 24 ივლისს, აპარატმა ბათუმის ჯაზფესტივალისთვის 800 ლარის ღირებულების ბილეთი შეიძინა, თუმცა შეძენის აუცილებლობა ვერ დაამტკიცა, რაც ზედმეტად გაწეული ხარჯია.

2011 წლის 22 ივნისის 148 ბრძანების საფუძველზე, 1-5 ივლისს, უკრაინის უზენაესი საბჭოს დეპუტატების ბათუმში ვიზიტის ფარგლებში, კულტურული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, შპს „ისტერნ პრომოუშენისგან“ 2 300 ლარის ღირებულების ბილეთი შეიძინეს. აპარატმა სახელმწიფო აუდიტორებს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები — ანგარიშფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი ვერ წარუდგინა, რის გამოც გაწეული მომსახურების რეალობა, შეძენილი ბილეთების რაოდენობა და გადახდილი თანხის შესაბამისობა ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით, ვერ დგინდება.

უკრაინის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებული საპროტოკოლო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 12 მარტის 30 ბრძანებით, აპარატს სახელმწიფო მინისტრის 15-16 მარტს, გუდაურში მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯის სრულად ანაზღაურება დაევალა. სახელმწიფო აუდიტორებს შპს „გუდაური სქაი რესორტის“ მიერ, 17 მარტით დათარიღებული PRO-FORMA ინვოისი წარუდგინეს, რომლითაც ერთი ღამით, სასტუმრო ნომრის ღირებულება 4 500 ლარითაა ანაზღაურებული, რაც ამავე სასტუმროში დადგენილ ტარიფებთან სრულ შეუსაბამობაშია. „გუდაური სქაი რესორტში“, ერთ დღე-ღამეში სასტუმრო ნომრით მომსახურების მაქსიმალური ღირებულება (საპრეზიდენტო ნომერი) 1 800 ლარია!



ვიცე პრემიერ-მინისტრის
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში
ინტეგრაციის საკითხებში
ბრძანება № 89
13 06 2012

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებზე

პრემიის გაცემის შესახებ

1. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის, მათი მოტივაციისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით; აგრეთვე, არსებული ეკონომიის ხარჯზე და თანამშრომელთა ხელფასების საბაზისო პრინციპის გათვალისწინებით, გაიცეს პრემია ქვემოთ ჩამოთვლილ თანამშრომლებზე:

- **გიორგი ბარამიძეს** - ვიცე პრემიერ მინისტრს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში –7080 ლარი;
- **ელენე ხოშტარიას** - სახელმწიფო მინისტრის [illegible] – 5900 ლარი;

„ოკოლადის მეფის“ ბეგრაუნდი

ჰქონდა თუ არა კავშირი კრიმინალურ დაჯგუფებებთან და რას ჰპირდება უკრაინელებს პიოტრ პოროშენკო

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

ფიცის დადებისას, საზოგადოებას მშვიდობისკენ, თავდაჯერებულობისა და ერთობისკენ მოუწოდა. განაცხადა, რომ უკრაინელი ხალხის დიდი მსხვერპლის მიუხედავად, არ სურს ომი და რევანში, აღმოსავლეთ ნაწილში მყოფ სეპარატისტებს განიარაღებისკენ მოუწოდა, მაგრამ დასძინა, რომ „ყირიმი იყო, არის და იქნება უკრაინის მიწა!“ ინაუგურაციას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ესწრებოდა, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და საქართველოს ეკონომიკის ექსმინისტრი კახა ბენდუქიძე კი, მას სავარაუდოდ, ურჩევენ, როგორ მართოს უკრაინა და როგორ გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან. რას ჰპირდება უკრაინელებს, როგორ აპირებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას და რა კომპრომატებს უქვეყნებენ ჟურნალისტები უკრაინის ახლადარჩეულ პრეზიდენტს? „ვერსია“ „შოკოლადის მეფის“, პიოტრ პოროშენკოს ბეგრაუნდსა და პირადი ცხოვრების საინტერესო დეტალებს გთავაზობთ.

კაკაოს გამყიდველის ახდენილი ოცნება

პიოტრ ალექსანდრეს ძე პოროშენკო 1965 წლის 25 სექტემბერს, ქალაქ ბოლგრადში დაიბადა. მამა ალექსეი ივანეს ძე პოროშენკო პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი გახლავთ, რომელიც წლების განმავლობაში ბოლგრადში, სოფლის მეურნეობის გაერთიანებაში მთავარ ინჟინრად მუშაობდა, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე. პიოტრის დედა, ევგენია პოროშენკო 2004 წელს გარდაიცვალა.

პიოტრ პოროშენკომ 1989 წელს დაამთავრა კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის ფაკულტეტი. მიუხედავად ამისა, ყოველთვის ფიქრობდა, საკუთარი ბიზნესი აეწყო. დიპლომის აღებისთანავე, ჩანაფიქრის ასრულება კაკაოს გაყიდვით დაიწყო. 1990-იან წლებში უკვე შეძლო რამდენიმე საკონდიტრო საწარმოს

შეძენა, რომლებიც საბოლოოდ, გააერთიანა ერთ ჯგუფში — „როშენ“. რამდენიმე წელში, „როშენის“ წყალობით, პოროშენკო უკრაინაში საკონდიტრო ნაწარმის მსხვილი მწარმოებელი გახდა, რამაც, სოლიდური ქონებისა და უზრუნველი ცხოვრების გარდა, მეტსახელიც მოუტანა — „შოკოლადის მეფე“. პიოტრ პოროშენკოს უკრაინის ნომერპირველ ეკონომისტსაც უწოდებენ. **„როშენი“ ჩემი პირველი შვილია. ხელით აღარ ვატარებ, სიარული უკვე ისწავლა, მაგრამ ჩემი ფუნქციაა, მივუთითო, რომელი მიმართულებით წავიდეს“**, — აცხადებს პოროშენკო, რომელიც, პარალელურად, ლიპეცკის საკონდიტრო ფაბრიკის მფლობელიცაა. გარდა ამისა, მის ბიზნესიმპერიას აერთიანებს რამდენიმე საავტომობილო და ავტობუსების ქარხანა (ლუცკის საავტომობილო ქარხანა, კორპორაცია „ბოგდანი“), ასევე — ნავსაშენი, ტელეარხი „მეხუთე არხი“... ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ „ფორბსის“ 2014 წლის მარტის მონაცემებით, პოროშენკო უკრაინელ მდიდართა შორის საპატიო მეშვიდე ადგილს იკავებს — მისი ქონება 1,3 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

გაპოლიტიკოსებული მილიარდერი და რევოლუციის დამფინანსებელი

უკრაინაში ხშირად ხუმრობენ, ბიზნესმენს სხვა რა გზა ჰქონდა — ან ფეხი ფეხზე უნდა გადაედო და ცხოვრებით დამტკბარიყო, ან თავი პოლიტიკაში ამოეყოო. აქტიურმა პოროშენკომ მეორე გზა არჩია — უმაღლეს რადაში ადგილი 1998 წელს დაიმკვიდრა. თავიდან სოციალურ-დემოკრატიული პარტიის, იმჟამინდელი პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას მართ ყველაზე ლოიალურად განწყობილი პარტიის წევრი იყო; 2000 წელს პარტია დატოვა და დამოუკიდებელი მემარცხენე ცენტრისტული ფრაქცია „სოლიდარობა“ შექმნა, 2001 წელს კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „რეგიონების პარტიის“ შექმნაში, რომელიც იმავე წელს, ვიქტორ იუშჩენკოსთან ერთად ოპოზიციურ ბლოკში „ნაშა უკრაინა“ გაერთიანდა. საპარლამენტო არჩევნების მერე, 2002 წელს, როცა „ნაშა უკრაინამ“ ხმების დიდი რაოდენობა მიიღო, პოროშენკო სათავეში რადას საბიუჯეტო კომიტეტს ჩაუდგა. იგი თავისი გოგონას ნათლიის, ვიქტორ იუშჩენკოს ნდობით აღჭურვილ პირად ითვლებოდა და ყოველთვის მოიაზრებოდა „ნაშა უკრაინისა“ და „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დამფინანსებლად. ამ ფონზე, არავის გაკვირვებია, იუშჩენკოს გაპრეზიდენტების შემდეგ, 2004 წელს პოროშენკო უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივნად რომ დანიშნეს. სამაგიეროდ, ის გაუკვირდათ, რომ სულ რაღაც ერთ წელიწადში, 2005 წელს, როცა უკრაინაში პოლიტიკური კრიზისი კორუფციაში პოლიტიკოსების მხილებით დაიწყო, პრეზიდენტმა, მთელ მთავრობასთან ერთად, სახლში ისიც გაისტუმრა. 2005 წელს, პრეტენზია ჰქონდა პრემიერ-მინისტრის პოსტზე, თუმცა ადგილი უფრო აქტიურ, იულია ტიმოშენკოს დაუთმო.

2006 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პოროშენკო რადაში ისევ „ნაშა უკრაინას“ სიით მოხვდა და საფინანსო კომიტეტსაც ჩაუდგა სათავეში. ამბობენ, მაშინ მილიარდერი პარლამენტის სპიკერის სავარძელს უმიზნებდაო, მაგრამ გეგმა მას შემდეგ ჩაეშალა, რაც სოციალისტური პარტია უმცირესობასთან გაერთიანდა და სანაცვლოდ გარანტიაც მიიღო, რომ სპიკერობას ხელს სოციალისტების ლიდერი ალექსანდრე მოროზი გამოკრავდა.

2007-დან 2010 წლამდე პოროშენკო უკრაინის ნაციონალური ბანკის საბჭოს ხელმძღვანელია, 2009 წლის ოქტომბერში კი იგი პრეზიდენტმა იუშჩენკომ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა. მაშინ ითქვა, პოროშენკო, რომლის „როშენის“ წარმოების ნახევარზე მეტი ექსპორტზე რუსეთში გადის, კრემლთან ურთიერთობას უკრაინის სასარგებლოდ დაარეგულირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, პოროშენკომ პრეზიდენტის იმედი ვერ გაამართლა და რამდენიმე თვეში იუშჩენკომ კვლავ უშიშროების საბჭოში დააბრუნა.

2010 წლის 11 მარტს უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა პიოტრ პოროშენკო მთავრობასთან ერთად დაითხოვა, 2012 წლის 23 თებერვალს კი, შეხვედრის შემდეგ, ეკონომიკის მინისტრის პორტფელი ჩააბარა. პოროშენკომ მინისტრობაზე უარი მას შემდეგ განაცხადა და პარლამენტში დაბრუნდა, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ვინიცკის ოლქში ხმათა 70% მიიღო.

2014 წელს, ევრომაიდანზე არაერთხელ აღუთქვა მხარდაჭერა მომიტინგეებს. პოლიტიკურ კულუარებში კი „ევრომაიდნის სპონსორად“ ასახელებდნენ. მოგვიანებით, ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა კიდეც, **„რევოლუციას საჭმლით, წყლით, შეშით ვაფინანსებ“.**

ქვეყნის პირველი პირის სავარძლისთვის ბრძოლა

უკრაინის პრეზიდენტობას რომ აპირებდა, ამის შესახებ, ჯერ კიდევ 2013 წლის მარტში განაცხადა, ცესკო-ში კი, ოფიციალურად, საპრეზიდენტო კანდიდატად, 2014 წლის 29 მარტს დარეგისტრირდა. მის სასარგებლოდ განაცხადა უარი არჩევნებში მონაწილეობაზე „უდარის“ ლიდერმა ვიტალი კლიჩკომ. ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტ იანუკოვიჩის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სერგეი ლიოვოჩინმა და ოლიგარქმა დმიტრი ფირტაშმა საჯაროდ მოიწონეს. ავსტრიულ მედიაში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ კლიჩკოს ამ გადაწყვეტილებას წინ უძღვოდა კლიჩკო-პოროშენკო-ფირტაშის საიდუმლო შეხვედრები ვენაში. მოგვიანებით, ფირტაშმა „საიდუმლო სერობა“ არა, მაგრამ ის დაადასტურა, რომ პოროშენკოს მხარს თავიდანვე უჭერდა და კლიჩკოს ურჩევდა, მისთვის გზა გაეთავისუფლებინა.

26 მაისს ჩატარებულ არჩევნებში, პიოტრ პოროშენკომ პირველივე ტურში გაიმარჯვა. მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 54%-ზე მეტმა, დიდი სხვაობით, 13%-ით მეორე ადგილზე იულია ტიმოშენკო გავიდა. ყველაზე მეტი ამომრჩეველი (77%-ზე მეტი) ლვოვის საარჩევნო ოლქში გამოცხადდა. ყველაზე დაბალი აქტივობა კი (14%) დონეცკში დაფიქსირდა. დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში საარჩევნო უბნების უმრავლესობა დახურული იყო. არჩევნები იქ შეიარაღებულმა სეპარატისტებმა ჩაშალეს. ათობით ყირიმელმა თათარმა ხერსონის ოლქის დასახლება ნოვოალექსეევკაში მისცა ხმა. რადიო თავისუფლების კორესპონდენტის ცნობით, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ყირიმიდან მომავალი ადამიანები ავტომანქანებით კვეთდნენ რუსულ და უკრაინულ სასაზღვრო საგუშაგოებს.

პიოტრ პოროშენკომ უმაღლეს რადაში უკრაინელი ხალხის ერთგულების ფიცი 7 ივნისს დადო. ინაუგურაციას 60-ზე მეტი უცხოელი მაღალჩინოსანი ესწრებოდა. პოროშენკომ განაცხადა, რომ იზრუნებს სამშობლოსა და უკრაინელი ხალხის კეთილდღეობაზე, დაიცავს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებას, უკრაინის კონსტიტუციასა და კანონებს, თავის მოვალეობას თანამემამულეების ინტერესებიდან გამომდინარე შეასრულებს და მსოფლიოში უკრაინის ავტორიტეტს აამაღლებს. პოროშენკო ნატო-ში უკრაინის გაწევრიანებას ემხრობა და აცხადებს, რომ, თუ საზოგადოების სურვილი და პოლიტიკური ნება იარსებებს, ამის მიღწევა მოკლე დროშიც შეიძლება. მისი აზრით, უკრაინისთვის ნატო-ში გაწევრიანება უნდა იყოს მთავარი მიზანი და არა მხოლოდ რაიმე რეფორმების გატარება, ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერება და ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

წინასაარჩევნოდ, პოროშენკოს წარსულიც გაიხსენეს. ამბობენ, მას ადრე კრიმინალურ დაჯგუფებებთან ჰქონდა კავშირი და ზოგადად, კრიმინალთან მიდრეკილება გენეტიკურად გადაეცა — „უკრპრომინვესტის“ ყოფილი გენერალური დირექტორი მამა, ალექსი პოროშენკო საბჭოთა დროს სპირტის დიდი რაოდენობით მოპარვისთვის იჯდა ციხეში. პიოტრ პოროშენკომ კი თავისი კრიმინალური გზა მოლდოვაში კანონის დარღვევით დაიწყოო, — ამბობენ პოლიტიკურ კულუარებში, თუმცა მისი ბეგრაუნდიდან, ყველაზე ხშირად იმ ფაქტს იხსენებენ, კომპრომატები რომ გამოუქვეყნეს და უკრაინიდან აშშ-ში „ექსპორტის სკანდალში“ ამხილეს — ბიზნესმენი დასავლეთში თითქოსდა ექსპორტის წარმოებით, საკმაოდ დიდ თანხას იჯიბავდაო. თავის დროზე, თავად მიმართა სამართალდამცავებს, გამოიძიეთ ეს ფაქტები და ყველაფერს თავის სახელი დაარქვითო. ეს არ მოხდა, მაგრამ არც გამოქვეყნებული კომპრომატებისთვის მიუქცევია მოსახლეობას ყურადღება მაშინ, როცა საარჩევნო ურნასთან არჩევანს პოროშენკოს სასარგებლოდ აკეთებდა.

კომპრომატების მიუხედავად, უკრაინელმა ხალხმა ქვეყნის პირველი პირის სავარძელი პიოტრ პოროშენკოს ანდო. მას უკრაინაში, „ოჯახის ბურჯადაც“ მოიხსენიებენ. ამბობენ, ოთხი შვილის მამას, ყველაზე მეტად, შინ ყოფნა მოსწონს. მეუღლე მარინა პერევედენცევა, პროფესიით ექიმი-კარდიოლოგია, მაგრამ წლებია დიასახლისია. პოროშენკოს წყვილს ორი ვაჟი — ალექსეი (1985), მიხაილი (2001) და ორიც ქალიშვილი — ევგენია (2000) და ალექსანდრა (2000) ჰყავს. გოგონების ნათლია ვიქტორ იუშჩენკოა.

პარტნიორები და მეგობრები ამბობენ, პოროშენკო არის ადამიანი, რომელიც საჭიროა ყველა ბიზნესში, აქვს ბიზნესის კეთების საოცარი ალღო და ფენომენური მეხსიერება. ამბობენ იმასაც, რომ ზომიერად ავანტიურისტია და ისიც იცის, როდის, როგორ გარისკოს. ურთიერთობაში ზოგჯერ მკვახე და ზედმეტად გულახდილია. თავად კი არ უყვარს ქაოტური, უპასუხისმგებლო, არაპროგნოზირებადი ადამიანები. უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. განსაკუთრებით დაინტერესებულია ინგლისური ლიტერატურით, არის ფერწერის თაყვანისმცემელი. მისი საყვარელი მხატვარია იმპრესიონისტი კლოდ მონე. არის ძიუდოს სპორტის ოსტატი, უყვარს ჩოგბურთი და თავისუფალ დროს ხშირად წაადგებით კორტებზე, თუმცა, როგორც ამბობს, ყველაზე დიდ სიამოვნებას ცოლ-შვილთან ურთიერთობა, შინ დასვენება ჰგვრის, რისი ფუფუნებაც, უკრაინის პირველ პირს, ალბათ აღარ ექნება.

სუდოკუმანია

ადვილი

	2			4			9	
	9			2	7			
6						7		2
		5	4	1				
9								1
				3	8	6		
8		6						9
			1	9			7	
	4			5			1	

სტანდარტი

3		9		8				
		1			3		8	
				4	6		9	
		8					3	
	3						6	
	7					1		
	6		4	7				
	2		5			9		
				9		8		5

რთული

9				4		3		
				2			5	
	7		8				2	
	3	2	6			5		8
5								2
4		1			2	9	7	
	5				1		6	
	6			8				
		3		6				1

ექსპერტი

	8			9	4	7	6	
	6			2				
3					6			
4	3			8		5		
2	1						9	8
		9		6			3	2
			9					6
				3			4	
	9	8	4	1			2	

აკრძალული დელიკატესები

ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრძალული დელიკატესების რეიტინგი შეადგინეს, რომელთა მოხმარებამაც, შესაძლოა, ადამიანის სიკვდილი გამოიწვიოს ან ჯანმრთელობა სერიოზულად დააზიანოს. ჟურნალ „ნიუსვიკის“ ვერსიით, ორიგინალური რეცეპტების რეიტინგში პირველი ადგილი კასუ მარცუს (Casu Marzu) ეკუთვნის — ეს იტალიაში, კუნძულ სარდინიაზე წარმოებული ყველის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც ბუზის მატლებს შეიცავს. სარდინიულ დიალექტზე მისი სახელწოდება „დამპალ ყველს“ ნიშნავს, საერთოდ კი, მას „მატლებიან ყველად“ მოიხსენიებენ. კასუ მარცუს ფერმენტაციისთვის საჭირო დროზე მეტხანს აჩერებენ და ლპობამდე მიჰყავთ, რასაც ყველის ბუზის მატლები იწვევს. ისინი ხელს უწყობს ყველში არსებული ცხიმების დაშლას, რის გამოც საკმაოდ რბილდება. თავისუფალ გაყიდვაში ამ ყველის პოვნა იტალიაშიც კი შეუძლებელია, რადგან ეს ჭიებით სავსე დელიკატესი თვით გურმანებსაც კი შოკს ჰგვრის. თანაც, მატლები საკმაოდ აქტიურად მოძრაობს ყველის კვერში და ზოგჯერ 15 სმ-ს მანძილზეც კი „ხტებიან“. ამ ყველაფრის მიუხედავად, სარდინიელი ფერმერები მაინც არ ეშვებიან „დამპალი ყველის“ წარმოებას. კასუ მარცუ ქვეყნის ჩრდილოეთშიც — პიემონტსა და ბერგამოშიც ამოჰყავთ გაბედული შემკვეთისთვის.

რეიტინგში მეორე ადგილზეა ფუგუ — ეს შხამიანი თევზია, რომლის ორგანოები და მუცელზე არსებული „ნემსები“ მომაკვდინებელია, თუმცა, ამის მიუხედავად, იაპონიასა და კორეაში ამ ცივსისხლიანის ხორცი დელიკატესად მიიჩნევა. ამბობენ, რომ ყველაფერი შეფ-მზარეულის ოსტატობაზეა დამოკიდებული, რომელმაც მისი მომზადებისას ფუგუს ანუ ძაღლთევზას შხამის განეიტრალება უნდა შეძლოს. ამ თევზის ორგანიზმი ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ შხამს — ტეტროდოტოქსინს გამოიმუშავებს. ფუგუსგან ამზადებენ სუპს და შემწვარსაც მიირთმევენ.

შემდეგი ადგილი სიაში ყველ ბრის უკავია. მისი დამზადების რეცეპტი ერთ-ერთი უძველესია ფრანგულ სამზარეულოში, ამიტომ სიმბოლურია, ეს ყველი ობმოკიდებული რომ იყიდება, რაც მისი დამზადების ორიგინალურ ტექნოლოგიაზე მიუთითებს. ბრი მალფუჭებადი პროდუქტია და ამიტომ მისი დაგემოვნება მხოლოდ საფრანგეთში შეიძლება.

მორიგი აკრძალული დელიკატესი გამოცემის რეიტინგში აბსენტია — მის დასამზადებლად გამოიყენება აფროდიზიაკი — ნივთიერება, რომელიც სექსუალურ ლტოლვას აძლიერებს და ჰალუცინაციებს იწვევს. ეს სასმელი საკმაოდ პოპულარული იყო XIX საუკუნის საფრანგეთში, აშშ-ში კი ის 1912 წელს აკრძალეს. ამჟამად აბსენტის მომზადების უფლება მხოლოდ გამოცდილ ბარმენებს აქვთ, თანაც მათ მკაცრად უნდა დაიცვან ტუიონის — ჰალუცინაციის გამომწვევი ნივთიერების დოზები.

კიდევ ერთი აკრძალვა სასაფრასს, ანუ ამერიკულ დაფნას ეხება. ასწლეულების განმავლობაში მის ფოთოლს ჩრდილოეთ ამერიკის მცხოვრებნი ჩაის სახით, როგორც ტკივილგამაყუჩებელს, ისე მოიხმარდნენ, კრეოლები კი მას კერძების მომზადებისას იყენებდნენ. ეს მცენარე საფროლს შეიცავს, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან კანცეროგენულ ნივთიერებად აღიარეს და საკვებში მისი გამოყენება აკრძალეს.

ამერიკაში აკრძალული დელიკატესია ასევე შოტლანდიური ნაციონალური კერძი ჰაგისი (ცხვრის ხორცით მომზადებული) და ლობსტერები (ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის განცხადებით, მათ ამ კიბორჩხალისმაგვარი დელიკატესის ტრანსპორტირების ფორმები არ აკმაყოფილებთ).

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	3	4	2	1	8	7	9	6
7	8	6	9	4	5	3	2	1
2	1	9	7	6	3	8	5	4
9	7	5	4	8	1	6	3	2
6	4	8	5	3	2	1	7	9
1	2	3	6	9	7	4	8	5
4	6	7	3	5	9	2	1	8
8	5	2	1	7	6	9	4	3
3	9	1	8	2	4	5	6	7

სტანდარტი

7	1	4	6	8	5	9	2	3
2	9	5	7	3	4	6	1	8
3	8	6	2	1	9	5	4	7
4	7	3	8	9	2	1	6	5
6	2	1	5	4	7	3	8	9
9	5	8	3	6	1	4	7	2
8	6	9	4	2	3	7	5	1
1	4	7	9	5	8	2	3	6
5	3	2	1	7	6	8	9	4

რთული

8	7	6	3	9	5	4	2	1
2	9	5	7	4	1	8	6	3
1	4	3	8	2	6	9	5	7
7	8	4	6	1	2	5	3	9
9	3	1	5	8	4	6	7	2
6	5	2	9	3	7	1	8	4
5	6	9	4	7	3	2	1	8
3	2	8	1	6	9	7	4	5
4	1	7	2	5	8	3	9	6

ექსპერტი

7	9	6	4	2	1	5	8	3
5	4	3	9	8	7	6	2	1
2	1	8	6	5	3	9	7	4
4	8	7	5	3	2	1	9	6
1	6	5	8	4	9	7	3	2
3	2	9	1	7	6	4	5	8
9	5	4	2	6	8	3	1	7
6	7	2	3	1	5	8	4	9
8	3	1	7	9	4	2	6	5

ადვილი

7	1	5	4	6	3	2	8	9
4	2	9	8	1	7	3	6	5
3	6	8	5	9	2	7	4	1
8	9	1	7	5	6	4	3	2
2	7	6	3	4	1	5	9	8
5	4	3	9	2	8	1	7	6
1	8	4	6	7	5	9	2	3
9	3	2	1	8	4	6	5	7
6	5	7	2	3	9	8	1	4

სტანდარტი

6	5	9	8	4	3	2	1	7
8	4	2	1	9	7	6	5	3
1	3	7	2	6	5	9	8	4
7	1	4	9	8	2	3	6	5
5	6	3	7	1	4	8	2	9
2	9	8	3	5	6	7	4	1
4	2	6	5	7	9	1	3	8
9	8	5	6	3	1	4	7	2
3	7	1	4	2	8	5	9	6

რთული

9	2	1	5	4	3	8	7	6
3	8	7	6	2	9	5	1	4
6	5	4	1	8	7	2	3	9
1	7	6	4	5	2	3	9	8
5	4	9	8	3	1	7	6	2
2	3	8	9	7	6	4	5	1
4	1	5	7	9	8	6	2	3
8	9	3	2	6	5	1	4	7
7	6	2	3	1	4	9	8	5

ექსპერტი

3	4	6	8	2	9	7	5	1
5	8	2	7	6	1	4	3	9
7	1	9	5	4	3	8	6	2
4	6	8	3	9	2	1	7	5
1	9	7	6	8	5	3	2	4
2	5	3	1	7	4	6	9	8
6	7	1	2	5	8	9	4	3
9	3	5	4	1	7	2	8	6
8	2	4	9	3	6	5	1	7

მე-10 გვერდი: 1. „კრაისლერი“; 2. პროზერპინა; 3. ნიყვი; 4. ქლორი; 5. ურა; 6. აკინაკი; 7. კიევი; 8. ნიპონ; 9. კიჩო; 10. აზავერი; 11. ანი; 12. „ერისიონი“; 13. ივნისი; 14. „მერანი“; 15. ვესპუჩი; 16. აული; 17. „ასფურცელა“; 18. ოფიცერი; 19. ეკვირინე; 20. საფარი; 21. ფარი; 22. დიანა; 23. ფილია; 24. ინგირი; 25. ქვრივი; 26. აფიქსი; 27. ირავადი; 28. იდუმალი; 29. პაი; 30. ატოლი; 31. ოაზისი; 32. რაველი; 33. იბაგე; 34. ციური; 35. სვინგი; 36. აზგარდი; 37. ორდე; 38. ვერდი; 39. გორი; 40. ბაო; 41. გოფრე; 42. ვაება; 43. ორი; 44. ცურვა; 45. გრემ; 46. ნუნა; 47. ბოუი; 48. სტავრა; 49. ლემიე; 50. გრივნა; 51. დე; 52. რედიარდ; 53. ლეია; 54. რური; 55. სე; 56. ფრი; 57. ღამე; 58. ევლია; 59. დალაი; 60. მწევარი; 61. უნა; 62. ბოი; 63. იო; 64. ვო; 65. იფი.

მე-12 გვერდი: 1. სეფისკვერი; 2. პიპეტი; 3. სამაია; 4. ფელამუში; 5. საათი; 6. პანაცეა; 7. პომიდორი; 8. ტუზი; 9. სმალტა; 10. აზიმუტი; 11. ელიავა; 12. ნამაზი; 13. აღალი; 14. ტანკი; 15. ალღო; 16. ნიამეი; 17. ამატი; 18. ლუზა; 19. ციდა; 20. მუმია; 21. არია; 22. ქიში; 23. იავა; 24. ტოტია; 25. ვასილი; 26. ტრალერი; 27. ხეა; 28. ოიდიუმი; 29. კალია; 30. სანთელი; 31. ლოთარ მათეუსი; 32. ორხაო; 33. რიგა; 34. აკრი; 35. იამალი; 36. ათენი; 37. ასენიზაცია; 38. დია; 39. ალენ; 40. ფიცი; 41. თაია; 42. ალისა; 43. ორგია; 44. მედრესე; 45. მამოლოგია; 46. ესტრადა; 47. სპეკალი; 48. ერიქსონი; 49. ლამა; 50. ერინ; 51. ფაუ; 52. მისის; 53. უიკენდი; 54. ადენომა; 55. ანაკლია; 56. აკვანი; 57. პალაცო; 58. კანაფი; 59. ვაზა; 60. ტუია; 61. აფრაკი; 62. მი; 63. თამარი; 64. რკონი; 65. დონ; 66. აყირო; 67. კოტ; 68. შიო; 69. მასისი; 70. ცერი; 71. აკმე; 72. ნიკ; 73. იუკო; 74. ედო; 75. ვასკო; 76. კონი; 77. ასო; 78. ერ; 79. ფო; 80. ლენ; 81. ნემო; 82. მანგო; 83. მეი; 84. ნანტი; 85. „ალფი“; 86. ინო; 87. ისარა.

1. თხევადი ცხიმი
2.მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა
3.იგივეა, რაც ვექილი
4.წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი
5. მოსევადების ტექნიკის სახეობა
6. უზურგო სკამი
7.რისამე დედააზრი, რაობა
8.აზია-ევროპის გამყოფი ქედი
9. მედიცინის დარგი
10. მწიგნობარი ანთიმოზ ...
11. ქართ. ზმნის ერთ-ერთი გვარი
12. ერთ-ერთი ცეკვა
13. ზევსის დედა
14. „ყინულების ქვეყანა“
15.სოფ. ქედის რაიონში
16.იგივეა, რაც იმედი
17. შიკრიკის ძველქართ. სახელი
18. ხრინწიანი სუნთქვა
19.ალკოჰოლური სასმელი
20. მატყლის ქსოვილი
21.დედამიწის შუა ხაზი
22. ავსტრიის დედაქალაქი
23. კენიის დედაქალაქი
24. უძველესი მუსიკალური საკრავი
25. საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი
26. ყურით აღქმული ბგერა
27. გაზაფხულზე ნაპარსი მატყლი
28. ჩოგბურთელი ... გრაფი
29. უძვ. აკადემია საქართველოში
30. ქეთა თოფურიას ჯგუფი
31.გაეროს ერთ-ერთი განყოფილება
32. ძროხის ნაშიერი
33. ქალაქი რაჭაში
34. ლენონის ქვრივი იოკო ...
35. დედალი ცხვარი
36.ძველეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
37. ქიმიური ელემენტი, ლითონი
38.სულხანსაბას მშობლიური სოფელი
39. შოკოლადის ბატონი ქოქოსის გულით
40. ქალაქი ისრაელში
41. დამუხტული ატომი
42. ხვადის ანტონიმი
43. მსახიობი ... ჰოფმანი
44.დუმბაძის „... გეშინია, დედა!“
45. სოფელი ყვარლის რაიონში
46. მარიო პიუზოს ცნობილი რომანი
47. თხელი, საფლობი ტალახი
48. მწერალი ... ფოიხტვანგერი
49. იგივეა, რაც ყალბი
50. ნაპოლეონის კარის მხატვარი
51. სპილბერგის უცხოპლანეტელი
52.შუმის ვიწროყელიანი ჭურჭელი
53.ჰორიზონტალური ხაზი, სასვენი ნიშანი
54. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში
55. ბალახის ჩრდილი
56.თეატრალური ხელოვნების სახეობა
57. ციხესიმაგრის გალავნის კუთხეებში დატანებული ხუთწახნაგა ნაგებობა
58. ჩვენებითი ნაწილაკი
59. ოსტროვსკის რომანი „... იწ-რთობოდა ფოლადი“
60. ტაჯმაჰალის ქალაქი
61. მხატვარი ...-გრეკო
62. წვრილი ქვიშა
63. ბასკეთის უდიდესი ქალაქი

მოხუც არაბს საცოლეზე უარი უთხრეს

92 წლის არაბს, რომელსაც 17 წლის ეგვიპტელ გოგონაზე სურდა დაქორწინება, ბედნიერი ოჯახური ცხოვრების ოცნებაზე უარის თქმამ მოუწია — ეგვიპტის ხელისუფლებამ ამის ნება არ მისცა. ქვეყნის იუსტიციის სამინისტროში გაიხსენეს კანონი, რომლის მიხედვითაც მეუღლეებს შორის ასაკობრივი სხვაობა 25 წელზე მეტი არ უნდა იყოს. ეს კანონი, რომელიც მოხუცებს ახალგაზრდა გოგონებზე დაქორწინებას უკრძალავს, სანავთობო ბუმის დროს მიიღეს. მაშინ „შავი ოქროთი“ გამდიდრებულმა სპარსელებმა საცოლის საძებნელად ეგვიპტეს მიაშურეს. ამჯერად 92 წლის სასიძოზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ნავთობით მდიდარი ერთ-ერთი არაბული ქვეყნიდანაა, თუმცა ეგვიპტელი ჩინოვნიკები კანონში გამონაკლისსაც უშვებენ: მოხუც უცხოელებს შეუძლიათ დაქორწინდნენ ეგვიპტელ ქალებზე მაშინაც კი, თუ ასაკობრივი სხვაობა დასაშვებზე მეტია, მხოლოდ ამ შემთხვევაში, მომავალი მეუღლის ანგარიშზე, ეგვიპტის სახელმწიფო ბანკში საკმაოდ დიდი თანხა უნდა შეიტანონ. მარტო შარშან ეგვიპტეში ასეთი 173 ქორწინება გაფორმდა, სიძეებმა კი ჯიბე დაახლოებით 80 ათასი დოლარით შეიმსუბუქეს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

კრიზისული ცენტრი მამაკაცებისთვის

ტაივანის სიდიდით მეორე ქალაქ გაოსიუნში სპეციალური კრიზისული ცენტრი გაიხსნა მამაკაცებისთვის, რომლებიც სუსტი სქესის წარმომადგენლებისგან ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. ქალაქის ადმინისტრაციამ ცენტრის გახსნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ქმრებზე ცოლების თავდასხმის რიცხვი საკმაოდ გაიზარდა (2012 წელს — 730 შემთხვევა, შარშან — 840). ეს მხოლოდ ოჯახური ძალადობის დარეგისტრირებული შემთხვევებია. როგორც ქალაქის ადმინისტრაციაში აცხადებენ, შემთხვევათა რიცხვი სინამდვილეში უფრო მაღალია. კრიზისულ ცენტრში „ცხელი ხაზი“ მოქმედებს, რომელზეც შეუძლიათ დარეკონ კაცებმა და დახმარება ითხოვონ. ძლიერი სქესი ამ დროს უხერხულ მდგომარეობაში რომ არ აღმოჩნდეს, ტელეფონთან მხოლოდ მამაკაცი-ოპერატორები მუშაობენ.

ადამიანს სიარულის მანერით ამოიცნობენ

ინდოელმა მეცნიერებმა ვიკასის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან ადამიანის სიარულის მანერით ამოცნობის ახალი ტექნოლოგია შექმნეს. კომპიუტერული პროგრამა იმას ეფუძნება, რომ სწავლულთა თქმით, ყოველი ადამიანის სიარულის მანერა ისეთივე უნიკალურია, როგორც მისი სახე ან თითის ანაბეჭდი. ამოცნობის პროცედურა სათვალთვალო ვიდეოკამერის მეშვეობით ხდება, რომელსაც შეუძლია საკვანძო კადრების ნაკრები ჩაიწეროს ადამიანის სიარულის დროს. შემდეგ ამ კადრებს, რომლებზეც დაფიქსირებულია მოძრაობის ციკლი, სილუეტად გარდაქმნიან და სპეციალური ალგორითმის მეშვეობით გააანალიზებენ. ინდოელი სწავლულები აცხადებენ, რომ ადამიანის სიარულის მანერის დამახასიათებელი ნიშნები მონაცემთა ბაზაში მოთავსდება, რომლის მიხედვითაც ამოიცნობენ პიროვნებას, როგორც კი სათვალთვალო კამერის ობიექტივში მოხვდება. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მათ მეთოდს ამოცნობის ტრადიციულ მეთოდებთან (თითის ანაბეჭდების აღება ან თვალის გარსის სკანირება) შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ ადამიანის ამოცნობა შორ მანძილზეც იქნება შესაძლებელი.

სუდოკუ

ადვილი

		3			2		9	8
			5					
9	4					5		2
		4	6	7	1			9
3								1
8			3	2	9	6		
4		8					6	5
					8			
6	1		2			8		

სტანდარტი

	9		6			4		
					8		6	
7		5			1			
	1	6			9	5		
8		3		5		2		9
		9	3			8	4	
			5			9		4
	5		2					
		4			7		5	

რთული

			4			6		
	9			7	6		4	
			5	2				
8		2		5				6
	7	1				8	5	
6				1		3		2
				4	1			
	1		6	3			7	
		7			5			

ექსპერტი

	3		7					4
			5	2	4			7
	7				3	2	6	
9							8	
		8				5		
	2							6
	4	6	8				9	
8			6	9	5			
3					1		2	

სრულფასოვანი ხელოვნური გული შექმნეს



ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა სრულფასოვნად მომუშავე ხელოვნური გული წარმოადგინეს, რაც ბიოლოგიასა და მედიცინაში კოსმოსური ტექნოლოგიების ინტეგრაციის წყალობით გახდა შესაძლებელი. სინთეტიკური გულის შესაქმნელად სწავლულები 15 წლის განმავლობაში ირჯებოდნენ, ორგანოს ტესტირება კი ფრანგ ავადმყოფებზე მოხდა. სამუშაოებს ფრანგი პროფესორი ალიენ კარპენტიე ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი გადაწყვეტილება იყო კოსმოსური ტექნოლოგიების გამოყენება. მეცნიერმა გათვალა ის გარემოება, რომ ასეთი ტექნოლოგიები გრძელვადიანია, გამძლე და მაღალი სიზუსტით გამოირჩევა. ხელოვნური გული აერთიანებს ორგანულ მასალებს, ბიოლოგიურ ქსოვილსა და ნაწილების შემცირებულ ასლებს, რომლებიც თანამგზავრების აგებისას გამოიყენება. „ახალი“ გულის სარქველები წელიწადში 35 მილიონ გახსნასა და დახურვაზეა გათვლილი, ორგანოს „ვარგისიანობის ვადა“ კი, სულ ცოტა, ხუთი წელია. სპეციალისტების განცხადებით, ხელოვნურ გულს ამ სასიცოცხლო ორგანოს ტრანსპლანტაციის გაუთავებელი ლოდინის სრულად აღმოფხვრა შეუძლია.

მარწყვი სისხლძარღვებს აჯანსაღებს

როგორც გაირკვა, მარწყვი არა მხოლოდ მისი დახვეწილი გემოს გამოა დასაფასებელი. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ის სისხლძარღვებზე გამაჯანსაღებელ გავლენას ახდენს. იტალიელმა და ფრანგმა სწავლულებმა გამოკვლევები ჩაატარეს, რომლის შედეგადაც ამ სასურველი კენკრის ზოგიერთი განსაკუთრებული თვისება გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ მარწყვი მეტად ეფექტურად აღადგენს ქოლესტერინის დონეს, რაც მედიკოსებისთვისაც ნამდვილ აღმოჩენად იქცა. ექსპერიმენტისას მოხალისეებს ყოველდღიურად 50 გრამი კენკრა უნდა მიეღოთ. ერთი თვის შემდეგ, როცა ექსპერიმენტი დასრულდა, მისი მონაწილეების სისხლის ანალიზი ჩაატარეს და ექსპერიმენტამდე აღებულ მონაცემებს შეადარეს. გაირკვა, რომ საერთო ქოლესტერინის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა. გარდა ამისა, შემცირდა ცხიმოვანი ნაერთების რაოდენობაც, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ გულის კუნთების მდგომარეობაზე. უფრო ადრე კი, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მარწყვი იცავს მზის გამოსხივებისგან და ეხმარება ორგანიზმს ალკოჰოლით გამოწვეული ზიანის განეიტრალებაში.

ევროპა Chanel №5-ის წინააღმდეგ

ევროკომისიამ იმ 12 ინგრედიენტის აკრძალვის შესახებ დაიწყო საუბარი, რომელსაც Chanel №5-ისა და სხვა ცნობილი პარფიუმის წარმოებისას იყენებენ. ალერგიული ადამიანებისთვის პოტენციურად საშიში ნივთიერებები შესაძლოა, კანონგარეშე აღმოჩნდეს უკვე წელს, აგვისტოდან, რაც საფრთხის ქვეშ დააყენებს ზოგიერთი ცნობილი არომატის არსებობას. პარფიუმერული ინგრედიენტების სიაში მოხვდა ტონკას მარცვლები მასში არსებული კუმარინის გამო (ამ ნივთიერების კრისტალებს ახლად მოთიბული ბალახის არომატიც აქვს), ვარდის ზეთი (შეიცავს ევგერინს და მიხაკის სურნელი აქვს), ლიმონისა და მანდარინის ზეთები, ხის ხავსის ექსტრატი და სინთეტიკური მოლეკულა HICC, რომელსაც პარფიუმერები ლილიის იშვიათი არომატის გამო აფასებენ. სტატისტიკით, ამ ნივთიერებებზე ალერგია ევროპელთა 1-3%-ს აქვს. ეს ამბავი შეეხება ისეთ ბრენდებს, როგორიცაა Chanel, Hermes, Dior da Guerlain. ასევე მცირე პარფიუმერულ მარკებსაც. კერძოდ, ახალი კანონი, თუკი მიიღეს, გაურკვეველს გახდის ისეთი სუნამოების მომავალს, როგორიცაა, მაგალითად, Chanel №5, Shalimar (Guerlain), Miss Dior (Christian Dior).

ბოტოქსის ალტერნატივა — ჩიტის სკინტლი



კოსმეტოლოგებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან განაცხადეს, რომ არ არსებობს ბოტოქსის გამოყენების საჭიროება, რომელსაც ასე მრავლად ახლავს გვერდითი მოვლენები, ისინი ირწმუნებიან, რომ მიაგნეს ამ საშუალების ნატურალურ ალტერნატივას, რომელსაც აქტიურად იყენებს კიდეც ჰოლივუდის ზოგიერთი ვარსკვლავი. საუბარია ჩიტის სკინტლის ნიღაბზე, რომელიც კანს აახალგაზრდავებს. ამ რეცეპტს იაპონიაში საუკუნეებია იყენებენ, მათ შორის გეიშები, რომელიც თავის უვლიდნენ და სიბერემდე შესანიშნავად გამოიყურებოდნენ. ამ ნიღბის მთავარი და ერთადერთი კომპონენტი ბულბულის დამუშავებული სკინტლია. ლაპარაკია მხოლოდ იმ ფრინველზე, რომელიც კიუსიუს კუნძულზე ბინადრობს. ნიღბისთვის მხოლოდ ახალგაზრდა ჩიტების სკინტლი გამოიყენება, რომელთაც სპეციალურ დიეტაზე ამყოფებენ — კენკრით კვებავენ, შედეგად კი სკინტლს არ აქვს უსიამოვნო სუნი. იაპონელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ასეთი ნიღაბი მხოლოდ გამაახალგაზრდავებელი საშუალება კი არა, აკნეს საწინააღმდეგო წამალიცაა.

საპონი უფვილოგას იწვევს

სწავლულებმა განაცხადეს, რომ ქიმიური ნივთიერებები, რომელიც მზის დამცავ კრემში, კბილის პასტაში, საპონსა და ბავშვებისთვის განკუთვნილ სათამაშოებში გვხვდება, მამაკაცებში უნაყოფობას იწვევს და თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტ წყვილს აქვს მსგავსი პრობლემა. ცოტა ხნის წინ გერმანელმა და დანიელმა სწავლულებმა ეს პრობლემა შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ერთ-ერთი მიზეზი ყველასთვის ნაცნობი ჰიგიენური საშუალებები და პლასტმასის სათამაშოებია. მკვლევარებმა 100-მდე ჰიგიენური საშუალება შეამოწმეს, რომელსაც ადამიანი ყოველდღიურად იყენებს და აღმოაჩინეს, რომ მათგან მესამედი სპერმის ხარისხის გაუარესებას იწვევს. სწავლულთა განცხადებით, ზოგიერთი ნივთიერება გაცილებით მავნე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდნენ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი — გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები
2014 წლის 15 ივნისი

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრა იმართება 08.00 საათიდან 20.00 საათამდე

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება



მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიკეთეთ მარკირება



ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები



კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი (ყოველ საარჩევნო ბიულეტენში)

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლისა

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი



კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ცესკოს ცხელი ხაზი: 2510051

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი